



ახალი ბენათლები

2015 წელი, 17 - 23 სექტემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№26 (700) ბაზრის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



ონის რაიონის სოფელ უნაგის საჯარო სკოლის
ერთადერთი პირველკლასელი

2015-2016 სასწავლო წელი დაიწყო



14 სექტემბერს საქართველოს საჯარო სკოლებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ახალი სასწავლო წლის დაწყება მთავრობის მეთაურმა ირაკლი ლარიბაშვილმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და პედაგოგებს მცხეთის რაიონის სოფელ ნილკანის საჯარო სკოლიდან მიულოცეს.

თამარ სანიკიძე: „ჩვენს ძვირფას პედაგოგებს, სკოლის ადმინისტრაციას, სასკოლო საზოგადოებას, ჩვენს მოსწავლეებს და განსაკუთრებით პირველკლასელებს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გისურვებთ, რომ ეს წელი ყოფილიყოს თქვენთვის ნაყოფიერი და ჩვენი მოსწავლეების ნიჭიერების გამოვლენის წელი.“

მინდა განსაკუთრებით მივმართო ჩვენს ძვირფას პედაგოგებს და ვუთხრა, რომ ჩვენთვის ეს წელი მასწავლებლის წელია. ჩვენ ერთად დავინწყებთ წელს მუშაობას ახალი სისტემის ფარგლებში, სადაც, დამერწმუნეთ, მოვახერხებთ ყველა იმ პრობლემის დაძლევას, რომელიც აქამდე გვექონია.

წარმატებულ წელს გისურვებთ და არ დაგავინწყდეთ, რომ თქვენ გვერდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და პირადად მე ვდგავარ!“

გვერდი 2



გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

სამართლის ფაკულტეტი კერძო სამართლის კათედრა

1 ასისტენტ-პროფესორი

საბუთების მიღება ინარჩუნებს
2015 წლის 15 ოქტომბრიდან

2015 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით, ყოველდღიურად,
შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

კონკურსის ჩატარდება 2015 წლის 9 ნოემბერს.

კონკურსის დასრულება და საბოლოო შედეგები
გამოქვეყნდება 2015 წლის 13 ნოემბერს.

დაწვრილებითი ინფორმაცია
შეგიძლიათ იხილოთ

უნივერსიტეტის ვებგვერდზე – www.gttu.edu.ge
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე:
2 66 15 12; 2 24 65 90; 2 24 65 91

აგუ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში ინვესტირებას საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, თხუთმეტი წელია, წარმატებით ასოციალურად განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შეიძლება მონაწილეობა იმ მშვიდობის კორპუსის წევრებს და სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, იმუშავეთ ამერიკელ ინგლისურ ენის მასწავლებლებთან 2016-2018 სასწავლო წლების განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: **კახეთი** (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), **მცხეთა-მთიანეთი** (სტაფანდინის გარდა), **ქვემო ქართლი**, **შიდა ქართლი**, **სამცხე-ჯავახეთი**, **აჭარა**, **გურია**, **იმერეთი**, **სამეგრელო**, **რაჭა-ლეჩხუმი** და **ქვემო სვანეთი**. სოფლებიდან და ქალაქებიდან, რომლებიც განლაგებულია ადგილობრივი საზღვრიდან 5კმ-იან ზონაში, განაცხადები არ განიხილება.

თუ თქვენი სკოლა არის ზემოთ აღნიშნულ რეგიონებში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი გადამამტყუნებელი **24 საათს** და დანიშნულ სკოლაში ხარისხობრივად თანამშრომლობით 2016-2018 აკადემიურ წლებში, გაეცნით სინფორმაციო დანართს და დანიშნულ სკოლაში, შავსკეთი მოხალისის მოთხოვნის ფორმა მასპინძელი ოჯახის განაცხადებთან ერთად და მოგვანათლებელ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი №29^ა, თბილისი, 0160 ან გამოგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე

education@ge.peacecorps.gov

მოხალისის მოთხოვნის ფორმის და სინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან საგანმანათლებლო რესურსცენტრებში. მოხალისის მოთხოვნის ფორმის ჩამოტვირთვა ასევე შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ვებგვერდიდან:

<http://georgia.peacecorps.acsitefactory.com/media/966>

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა 18 ოქტომბერი, 2015 წელი.

დაამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით

ასამთ სიხარულიძე – განათლების პროგრამის ხელმძღვანელი (აღმოსავლეთი)
ტელ: 595906444;

თომ ნაფარიძე – განათლების პროგრამის ხელმძღვანელი (დასავლეთი)
ტელ: 599147047;

ინოვაციური მენეჯერი – პროგრამის და ტრენინგების სპეციალისტი
ტელ: 595027979.

2015-2016 სასწავლო წელი დაიწყო

პირველი გვერდიდან

მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს სიტყვით პრემიერმა ირაკლი ლარიბაშვილმა მიმართა და განაცხადა, რომ განათლება მთავრობის პრიორიტეტია. ჩინეთის მაგალითი მოიყვანა და განაცხადა, რომ ჩინეთში ყველაფერი შრომისმოყვარეობით შედგება, იქ განათლება პრიორიტეტულია.

„თუ გვაქვს პრეტენზია, ძლიერი სახელმწიფო ავაშენოთ, პირველ რიგში, ჩვენს განათლებაზე უნდა ვიზრუნოთ. განათლებული თაობის გარეშე ყოველგვარი წინსვლა და განვითარება შეუძლებელია. ვერც ეკონომიკას, ვერც სოფლის მეურნეობას, ვერც მეცნიერებას განვითარებთ, ვერც ახალ ტექნოლოგიებს დავერგავთ, თუ შესაბამისი განათლებული თაობა არ გვეყოლება. ჩვენი პრიორიტეტია სათანადო განათლების მიცემა ჩვენი მომავალი თაობისთვის. მთავრობა ამისთვის ყველაფერს გააკეთებთ.“

მჯერა, რომ გვეყოლება ძლიერი განათლებული თაობა, რომელიც ნებისმიერი სახელმწიფოს განათლებულ თაობას გაუწევს კონკურენციას. – განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა. ნილკანის სკოლას და დირექტორს პრემიერმა პირადად მიულოცა სწავლის დაწყება და წარმატება უსურვა.

მთავრობის მეთაურმა და განათლების მინისტრმა, მილოცვის შემდეგ, მოსწავლეებთან ერთად დაათვალიერეს ახლად აშენებული თანამედროვე სტანდარტების სკოლა, რომელმაც 14 სექტემბერს პირველად უმასპინძლა სოფელ ნილკანის მოსწავლეებს.

ახალ სკოლაში ყველაფერია, რაც ევროპული სტანდარტების სკოლას შეესაბამება – თანამედროვე გათბობის სისტემა, სპორტული და საექტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტები, დიდი, ლამაზი საკლასო ოთახები ახალი სასკოლო მერხებითა და დაფებით, სკოლა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის და აღჭურვილია სპეციალური პანდუსებითა და ლიფტით, ნილკანის სკოლა 450 მოსწავლეს გათვლილი, იგი ერთ-ერთი დიდი სოფლის სკოლაა და მისი მშენებლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო სოფლის მოსახლეობისთვის. ირაკლი ლარიბაშვილმა ახალ სკოლას სპორტული ინვენტარი ჩაუტანა, რომელიც სკოლისთვის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ გამოყო.

ახალ სასწავლო წელს სამინისტრო ბევრი სიახლით ხვდება:

- სასწავლო წლის დაწყებისათვის 3 ახალი სკოლა გაიხსნა (2013 წლიდან, ჯამში, სულ 10 ახალი სკოლა ექსპლუატაციაში შეესრულა, მიმდინარე წლის ბოლომდე დასრუდება და გაიხსნება კიდევ 8 სკოლა. 20 სკოლის პროექტირება მიმდინარეობს, საიდანაც 6-ის მშენებლობა წელსვე დაიწყება);
- წელს 500 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია ჩატარდა. სარეაბილიტაციო სამუშაოები, უკვე მეორე წელია, უწყვეტ რე-

ჟიმში მიმდინარეობს, ისე რომ სასწავლო პროცესს ხელი არ შეეშალოს. 2013 წლიდან მოყოლებული, ფუნდამენტური რეაბილიტაცია ჩატარდა დაახლოებით 1200 სკოლას (კარ-ფანჯარა, სახურავი, სველი წერტილები, გათბობა და სხვ.);

- სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი დაურიგდა ყველა მოსწავლეს. ყველა რაიონში ჩატანილია წიგნები და ძირითადი რაოდენობები სკოლებშიც დარიგებულია. მიმდინარეობს მცირედი დანაკლისების შევსება;
- პირველკლასელებს კომპიუტერები გადაეცემათ;
- წელს ტრანსპორტი 1200 სკოლას (60 000 მოსწავლეს) მოემსახურება;
- ბოლო ორი წლის განმავლობაში 230 000 ცალი მერხი და სკამია შეძენილი, 1500 სკოლაში განახლდა ინვენტარი;
- მიმდინარე სასწავლო წელს კომპიუტერული კლასების განახლება განხორციელდება. ტექნიკა უკვე შეძენილია 560 სკოლისთვის;

დაემატა ექიმის კაბინეტები. წელს უკვე 300-მდე სკოლას ექნება ექიმის სერვისი.

წლებიდან წელი მთლიანად მასწავლებლებს ეძღვნება! სახელმწიფომ დაიწყო მასწავლებლებზე, მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა. ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რომლის მიხედვით კარიერულ ზრდას თან ახლავს ანაზღაურების მატება, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია პედაგოგთა მოტივაციის ამაღლებისათვის. სახელმწიფომ ამ მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზება მოახდინა და უკვე სექტემბერში საქართველოს საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელი გაზრდილ ხელფასს მიიღებს. ხელფასის ზრდა 2016 წლის 1 აპრილსაც განხორციელდება და, სულ რაღაც წელიწადნახევარში, მასწავლებლის ანაზღაურება ქვეყანაში საშუალო ხელფასზე მაღალი გახდება.

2015-2016 სასწავლო წელს სახელფასო მატება ორჯერ განხორციელდება. 2015 წლის 1 სექტემბრიდან საბაზო ხელფასი ყველასათვის გაიზრდება 50 ლარით. მეორე საფეხურის მასწავლებელი მიიღებს დანამატს 160 ლარის ოდენობით; მესამე საფეხურის მასწავლებელი – 250 ლარის ოდენობით; მეოთხე საფეხურის მასწავლებელი – 300 ლარის ოდენობით.

2016 წლის 1 აპრილიდან მასწავლებლის საბაზო ხელფასი გაიზრდება კიდევ 50 ლარით. მეორე საფეხურის მასწავლებელი მიიღებს დანამატს 180 ლარის ოდენობით; მესამე საფეხურის მასწავლებელი – 270 ლარის ოდენობით; მეოთხე საფეხურის მასწავლებელი – 400 ლარის ოდენობით.

რიგი ცვლილებები განხორციელდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში. განათლების მინისტრის ბრძანებით, სასწავლო გეგ-

მაში ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა: სასწავლო წლის კალენდარი, კლასკომპლექტის შექმნის წესი, კლასის დამრიგების ფუნქცია-მოვალეობები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გამოცდის ტიპები, ეროვნულ უმცირესობათა ენების სასწავლო გეგმა და სხვ.

საყურადღებოა არჩევითი საგნების განახლებული ნუსხა. კერძოდ, ერთმოდულიან არჩევით საგნებს, რომლის ხანგრძლივობაც ერთი სემესტრია, გამოაკლდა საგანი „ქართული საზღვდრო ხელოვნების ისტორია“. სამაგიეროდ, გეგმაში შევიდა ორი სემესტრის ხანგრძლივობის ერთმოდულიანი საგანი – „საზღვდრო ისტორია და ეროვნული თავდაცვა“, რომლის სწავლებაც X, XI და XII კლასებში განხორციელდება.

სასწავლო გეგმაში დამატებულია საგნები, რომლებიც შეიძლება ისწავლებოდეს ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში: 1. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენა (ისწავლება მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სკოლებში და კლასებში, კვირაში 2-საათიანი დატვირთვით); 2. ჭადრაკი (სპეციალური ელექტრონული პროგრამა). ცვლილებები ეროვნულ საკანონმდებლო „მაცნეშიც“ გამოქვეყნდა და უკვე ძალაშია.

„წლებიდან წელი ჩვენთვის პედაგოგების წელი იქნება, რადგან ის ძირითადი საკითხები, რომელიც ჯერ კიდევ გადასაჭრელია, უნდა გადავჭრათ ერთად და ამისთვის პედაგოგს დასჭირდება სახელმწიფოს მხრიდან რეალური ხელშეწყობა, პროფესიას – დაფასება, სახელფასო მატება. ამიტომ, ყველაფერი, რაც გვაკეთებთ და 2 წლის განმავლობაში რაც ვიმუშავებთ მასწავლებლის ახალ სისტემაზე, ახალ სქემაზე, წელს ერთიანად დაიწყებთ დაწერვას“ – განაცხადა თამარ სანიკიძემ.

სწავლის დაწყება მოსწავლეებსა და პედაგოგებს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თბილისის კლასიკური გიმნაზიიდან მიულოცა. პრეზიდენტი სკოლის ეზოში დროშის აღმართვას დაესწრო, რის შემდეგაც პირველკლასელებს პირადად გაესაუბრა.

„მინდა მიულოცო ყველას – სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებს, მათ მშობლებს. მინდა განსაკუთრებით მოვილოცოთ, ვინც დღეს პირველად სკოლასა და უნივერსიტეტში მიდის. მინდა ერთად ყოფნის, ერთად სწავლის ალტაცება ყველას გავიზიაროთ.“ – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

საქართველოს მასშტაბით, 13 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის გამო არ დაწყებულა – აქედან 2 თბილისის №53 და №165 სკოლებია, დანარჩენი კი – რეგიონის სკოლები. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, სასწავლო პროცესი 13-ვე სკოლაში ახლო მომავალში დაიწყება და მოსწავლეებს ვაცდენილი საათები შაბათის ხარჯზე აუნაზღაურდება.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სოციალური პროგრამის ფარგლებში, იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში

2015-2016 სასწავლო წლისთვის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებისთვის გამოყოფილია 2 520 000 (ორი მილიონ ხუთას ოცი ათასი) ლარი იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აპრილის № 449 დადგენილებით.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი წარადგინებს განცხადებას, რომლის ფორმა და წარსაღებნი დოკუმენტაციის ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 სექტემბრის № 986 ბრძანებით.

დაფინანსების მისაღებად, განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარადგინებული უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 27 აპრილის № 449 დადგენილებით.

306 შეიქმნა მოიპოვოს დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში:

I. სოციალური პროგრამის ფარგლებში 1 920 000 (ერთი მილიონ ცხრას ოცი ათასი) ლარი გამოყოფილია იმ სტუდენტების დაფინანსებისთვის, რომლებიც 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში და განეკუთვნებიან შემდეგ კატეგორიას:

ა) 206 სტუდენტი, რომლებიც ბოლო საბი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიზნების რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, აქედან:

- ა.ა) მსტიის მუნიციპალიტეტი – 12 სტუდენტი;
- ა.ბ) ლენტეხის მუნიციპალიტეტი – 10 სტუდენტი;
- ა.გ) ონის მუნიციპალიტეტი – 10 სტუდენტი;
- ა.დ) ქედის მუნიციპალიტეტი – 18 სტუდენტი;
- ა.ე) ხულოს მუნიციპალიტეტი – 24 სტუდენტი;
- ა.ვ) შუახევის მუნიციპალიტეტი – 18 სტუდენტი;
- ა.ზ) ყაზაღვის მუნიციპალიტეტი – 10 სტუდენტი;
- ა.თ) დუშეთის მუნიციპალიტეტი (ბარისახოს, შატილის, ძველეთის, მღეთის, მაღაროსკარისა და გუდამაყის სკოლებში) – 10 სტუდენტი;
- ა.ი) ადიგანის მუნიციპალიტეტი – 15 სტუდენტი;
- ა.კ) ახალქალაქის მუნიციპალიტეტი – 10 სტუდენტი;
- ა.ლ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი – 6 სტუდენტი;
- ა.მ) ნალკის მუნიციპალიტეტი – 13 სტუდენტი;
- ა.ნ) დმანისის მუნიციპალიტეტი – 16 სტუდენტი;

ა.ო) ახმეტის მუნიციპალიტეტი – 24 სტუდენტი (მათ შორის, პანკისის ხეობის სკოლებში – 14 სტუდენტი; ზემო და ქვემო ალვანის სკოლებში – 10 სტუდენტი);

ა.პ) ასპინძის მუნიციპალიტეტი – 10 სტუდენტი.

ბ) 170 სტუდენტი, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით; ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აპრილის დღიდან, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებული ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებში ბარში, აქედან:

- ბ.ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში, მათ შორის, აჭარის მუნიციპალიტეტი – 90 სტუდენტი;
- ბ.ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაში), მათ შორის, ქუთაისი, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში – 75 სტუდენტი;
- ბ.გ) საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერეკვი – 5 სტუდენტი.

გ) 15 სტუდენტი, რომლებიც ბოლო საბი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულ ეროვნულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) 15 სტუდენტი, რომლებიც ბოლო საბი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ე) 26 სტუდენტი, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უზგო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები.

ვ) 5 სტუდენტი, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დევნილებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები.

ზ) 50 სტუდენტი, რომლებიც არიან ოპოზიციონერი (ბარდაცვილი დედ-მამა).

თ) 100 სტუდენტი, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები.

ი) 30 სტუდენტი, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

კ) 50 სტუდენტი, რომლებიც ბოლო საბი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განთავსებული ბავშვის მიმდებარე სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ლ) 16 სტუდენტი, რომლებიც იმყოფება სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღზრდო საქონიანობის განმარტოვებული ან მიწოდებით აღზრდაში) ან გასული სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო საბი წლის განმავლობაში და იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში.

მ) 170 სტუდენტი, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე.

II. სოციალური პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდებიან აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში 2013 და 2014 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე, აქედან:

ა) 300 000 (სამასი ათასი) ლარი გამოყოფილია 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებისთვის.

ბ) 300 000 (სამასი ათასი) ლარი გამოყოფილია 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებისთვის.

თუ პროგრამით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით, დაფინანსდებიან:

• საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უზგო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები, რომლებიც ჩარიცხული არიან 2010-2014 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს ბრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს ბრანტის ნაწილობრივი ოდენობა;

• მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ჩარიცხული არიან 2010-2014 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს ბრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს ბრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში;

• ოპოზიციონერი (ბარდაცვილი დედ-მამა) სტუდენტები, რომლებიც ჩარიცხული არიან 2010-2014 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს ბრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს ბრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, თუ კატეგორიაში/ქვეკატეგორიაში შემავალი სტუდენტების რაოდენობა აღემატება ამ კატეგორიის/ქვეკატეგორიისთვის გამოყოფილ ადგილებს რაოდენობას, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულებით რანჟირების სიის საფუძველზე.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები

2015-2016 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩარიცხულ მაგისტრანტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებისთვის გამოყოფილია 205 000 (ორას ხუთი ათასი) ლარი.

სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 სექტემბრის № 457 დადგენილებით.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად მაგისტრანტი წარადგინებს განცხადებას, რომლის ფორმა და წარსაღებნი

დოკუმენტაციის ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 11 სექტემბრის № 1020 ბრძანებით.

დაფინანსების მისაღებად განცხადება, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებული უნდა იყოს 2015 წლის 16 ოქტომბრის რათვლით.

306 შეიქმნა მოიპოვოს დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში:

სოციალური პროგრამით გათვალისწინებული თანხა გადანაწილდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლულ სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული შემდეგი კატეგორიის მაგისტრანტების დაფინანსებისათვის:

ა) 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი მაგისტრანტებისათვის, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უზგო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები.

ბ) 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი მაგისტრანტებისათვის, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

გ) 160 000 (ას სამოცი ათასი) ლარი მაგისტრანტებისათვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე.

გამორიხებული მქანისური კასუხები და ობიექტურად შეფასებული პროფესიული კასუხისმგებლობა

ლალი ჯვალაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სტეპის ფარგლებში, პედაგოგთა თვითშეფასების კითხვარი დაამტკიცა, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება. კითხვარის შევსება მასწავლებლებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მოუწევთ და სასწავლო წლის დაწყების შემდეგ დაურთავებთ. პედაგოგებს პასუხის გაცემა დაახლოებით 120 კითხვისთვის მოუწევთ, ეს ყველაფერი ელექტრონულად იგება და პასუხები ოთხ დონედ იყოფა. 1 ყველაზე დაბალი დონეა, ხოლო მე-4 – ყველაზე მაღალი. იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული საგნის მასწავლებელს ესა თუ ის პუნქტი არ შეესაბამება, ის 0-ს დაწერს.

პედაგოგთა თვითშეფასების კითხვარი მასწავლებლის მთელ პრაქტიკას ასახავს და პროფესიულ სტანდარტებს ეფუძნება. სტრუქტურაში ორი ძირითადი მიმართულებაა, რომლებიც მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტებს ეფუძნება – სასწავლო პროცესი და პროფესიული პასუხისმგებლობა.

თითოეული მიმართულება სფეროებადაა დაყოფილი, სფეროები კი ქვესფეროებადაა ჩაშლილი, რომლებიც, თავის მხრივ, პუნქტებს მოიცავს. რეალურად პედაგოგს თვითშეფასების კითხვარი კარნახობს, როგორ წარმართოს თავისი საქმიანობა, რომ იყოს წარმატებული პედაგოგი. როგორც აღვნიშნეთ, კითხვარი საკმაოდ დიდი მოცულობისაა, ამიტომაც საილუსტრაციოდ რამდენიმე მიმართულებას მოვიყვანთ. მაგალითად, როგორ უნდა იყოს მასწავლებლისა და მოსწავლეს ურთიერთობა, ამ პუნქტში პედაგოგს შემდეგ კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა:

- ინტერესდება და ცდილობს თუ არა გაითვალისწინოს მოსწავლის სასწავლო, ემოციური და სოციალური პრობლემები?
- ცდილობს შექმნას ისეთი საკლასო გარემო, რომ მოსწავლეებს პქონდეთ საშუალება, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, დაეხმარონ და იზრუნონ ერთმანეთზე?
- ამხევილებს თუ არა ყურადღებას მოსწავლის ძლიერ მხარეებზე და ამავდროულად, აძლევს თუ არა რჩევებს საჭირო უნარების გასავითარებლად
- მოსწავლეებთან საუბრისას ყურადღებას აქცევს თუ არა საკუთარ ლექსიკას და სხეულის ენას (ხმის ტონს, სახის გამომეტყველებას, თვალის კონტაქტს, ჟესტიკულაციას, მიმიკას)?
- უდგება თუ არა ინდივიდუალურად ყველა მოსწავლეს, სტერეოტიპებისა და წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობის გარეშე?

დამტკიცებულ კითხვარში ადგილი ეთმობა: **მოსწავლეთა ტოლერანტობის გრძნობის ნახალისებრსა და მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფას; ინკლუზიური განათლების საკითხებს; კლასის მართვას (ქცევის წესების დაცვა).** პედაგოგებს მოუწევთ ასევე პასუხი გასცენ შემდეგ მიმართულებებს:

სასწავლო რისკის მართვა და გამომყვანა:

- ახდენს სკოლაში და სკოლის გარეთ არსებული რესურსების კლასიფიკაციას – კატეგორიზაციას; არჩევს და იყენებს მათ სასწავლო მიზნის შესაბამისად?
- სასწავლო რესურსის შერჩევასა ფიქრობს იმაზე, თუ რამდენად გაზრდის ეს რესურსი სწავლის მოტივაციას მოსწავლეებში?
- მიზანმიმართულად იყენებს თუ არა თვალსაჩინოებებს, რაც მოსწავლეებს უადვილებს ახალი ინფორმაციის აღქმასა და გაგებას?
- ამზადებს სასწავლო რესურსს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით?

გაკვეთილის დაგეგმვა მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნით:

- წინასწარ გეგმავს თუ არა გაკვეთილს ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით?
- გაკვეთილის მსვლელობისას, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, ახდენს თუ არა გაკვეთილის გეგმის მოდიფიცირებას?
- მოსწავლეებს უხსნის გაკვეთილის/სასწავლო აქტივობის მიზანს და მოსალოდნელ შედეგებს?
- მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით გეგმავს თუ არა

კლასგარეშე აქტივობებს?

სწავლისა და სწავლების სტრატეგია:

- იყენებს სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარების განვითარებაში?
- მოსწავლეებს სთავაზობს მკაფიო ინსტრუქციებს და პროცედურებს სასწავლო აქტივობებისთვის გაკვეთილის სპეციფიკის გათვალისწინებით?
- მოსწავლეთა საჭიროებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით იყენებს თუ არა სწავლების დიფერენცირებულ მიდგომას?
- მოსწავლეებს რეგულარულად აძლევს საკლასო და საშინაო დავალებებს, რომლებიც ეხმარება მათ არსებითი და არაარსებითი ინფორმაციის განსხვავებაში, ცნებებსა და იდეებს შორის მნიშვნელოვანი კავშირების დანახვასა და ინფორმაციის სინთეზში?

დისკუსიის დაგეგმვა; დისკუსიის სხვადასხვა ტიპის გამოყენება:

- ხელს უწყობს მოსწავლეებს, დაასაბუთონ საკუთარი იდეები და მოსაზრებები?
- თავს არ ახევეს მოსწავლეებს არც საკუთარ და არც აღიარებულ/სტერეოტიპულ მოსაზრებებს?
- მოსწავლეებს უბიძგებს საკუთარი და სხვების აზრების კრიტიკული შეფასებისაკენ?
- მოსწავლეებს უსვამს პრობლემურ შეკითხვებს, რაც ხელს უწყობს მათ ჩართვას კამათში და აქტიურ დისკუსიაში?

აუღაროებში მოსახიფათო თვითშეფასებას, თუ როგორ გამოვლინო ხალხისიანი და დინამიური გაკვეთილის ჩატარება, როგორია მოსწავლეთა მოტივაცია და აქტიური მონაწილეობა:

- იყენებს მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა სტრატეგიებს, რომლებიც სტიმულს მისცემს მოსწავლეებს, დასახონ სასწავლო მიზნები და მათი მიღწევის გეგმა?
- მოსწავლეებს რთავს სხვადასხვა სახის კვლევით აქტივობებში, რომლებიც იწვევს მათ ინტერესს და ასევე უკავშირდება რეალურ სიტუაციებს?

- აძლევს მათ საკუთარი ინტერესებისა და მისწავლების რეალიზაციის, ასევე არჩევანის გაკეთებისა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვის შესაძლებლობას?

სწავლების დროს შეფასების გამოყენება:

- მოსწავლეებს რთავს შეფასების კრიტერიუმების (რუბრიკის) შემუშავების პროცესში?
- აწვდის მათ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ხარისხიანი ნამუშევარი (შეფასების რუბრიკები, ხარისხიანი ნამუშევრის ნიმუში და სხვ.)
- ყველა დანტერესებულ პირს (მშობლებს, კოლეგებს, სხვ.) აცნობს ინფორმაციას შეფასების რუბრიკების, მეთოდების, ასევე შემეჯამებელი სამუშაოს ვადებისა და ტიპების შესახებ?
- სწავლის პროცესში გამოყოფს მნიშვნელოვან ეტაპებს, განსაზღვრავს თითოეულ ეტაპზე მისაღწევ შედეგებს და იყენებს სხვადასხვა სახის განმავითარებელ შეფასებას, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს თითოეულ ეტაპზე საკუთარი პროგრესის შეფასებაში?

შეფასებაზე არც თაყვანით პროფესიული ძველები რჩება ან ის, თუ როგორ ზრუნავს პარიერულ წინსვლაზე:

- დროულად ცხადდება გაკვეთილზე?
- მოსწავლეებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას არის კონსტრუქციული, კორექტიული და იცავს ეთიკის ნორმებს?
- საჭირო დოკუმენტაციას აწარმოებს დროულად და ხარისხიანად?
- თავს არიდებს თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებას სასკოლო სივრცეში?
- მისი ჩაცმულობა სასკოლო სივრცეში შეესაბამება მასწავლებლის ეთიკის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს?
- პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა:**
 - ეძებს და ეცნობა პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო ბეჭდურ, ელექტრონულ და მულტიმედია რესურსებს?
 - ეუფლება ეფექტური სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს?
 - ეუფლება სსსს სწავლების მეთოდებს და მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებზე მორგებულ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს?

- არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისთვის: ეუფლება სახელმწიფო ენას და ეცნობა ქართულ კულტურას.

მთლიანობაში, სულ 120 პუნქტამდეა, თითოეულ ქვესფეროს ბოლოში რეფლექსია ახლავს, რომელიც აუცილებლად უნდა შეავსოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც თვითშეფასების კითხვარის შედეგსა გააგრძელებს. კითხვარის შევსება სავალდებულო აქტივობაა ყველა მასწავლებლისთვის, ანუ მას ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელი შეავსებს, მაგრამ ამაში კრედიტ-ქულა არ მიენიჭება. არც დაბალი შეფასების შემთხვევაში მოსთხოვს ვინმე პასუხს, უბრალოდ მას, სკოლის ბაზაზე, პროფესიული ფასილიტატორი დაეხმარება ხარვეზების აღმოფხვრაში. თუმცა კითხვარის შევსებლობა დაუშვებელია, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი გაკვეთილს არ ატარებს და, როგორც განმარტავენ, ამათ თავად სკოლა არ დაუშვებს.

ყველა კითხვაზე პედაგოგმა ოთხი ტიპის პასუხიდან ერთ-ერთი უნდა გასცეს:

1. არ ვიყენებ ამ პრაქტიკას ან მისი გამოყენება დადებით შედეგს არ ახდენს მოსწავლეების სწავლის პროცესზე;
2. ვიყენებ ამ პრაქტიკას, მაგრამ მხოლოდ იშვიათად ვხედავ დადებით შედეგებს მოსწავლეების სწავლის პროცესზე;
3. კარგად გამოვიყენებ ამ პრაქტიკის გამოყენება და ვამჩნევ მუდმივ დადებით შედეგებს მოსწავლეების სწავლის პროცესზე;
4. ამ პრაქტიკის გამოყენება ჩემი ძლიერი მხარეა, მას ვარგებს მოსწავლეების საჭიროებებს, მოსწავლეთა მიღწევებში ვხედავ მუდმივ და პოზიტიურ შედეგს
5. არ შევსებამება (პასუხი განმარტებული).

ამასთანავე, ყოველი თავის შემდეგ, პედაგოგს მოუწევს შესაბამის კითხვებზე კონკრეტული მაგალითების მოყვანა პრაქტიკიდან, ასევე უნდა ჩამოაყალიბოს მოსაზრება, როგორ შეძლებს პრაქტიკის გაუმჯობესებას აღნიშნული მიმართულებით.

მასწავლებელთა სახლის დირექტორი გიორგი მაჩაბელი აღნიშნავს, რომ: „მასწავლებელი ისწავლის საკუთარი შესაძლებლობის სწორად შეფასებას. იმისთვის, რომ ვინაობა, განვითარების რა ეტაპზე ვართ, უნდა შევფასოთ ჩვენი თავი და სწორად მოვახდინოთ იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომელიც შეფასების პროცესში გამოიკვეთება. სწორედ ამის შესაბამისად უნდა დავეგეგმო ჩვენი მომავალი საქმიანობა“.

ბუნებრივია, ჩნდება ინტერესი, რამდენად ობიექტურად შეაფასებენ პედაგოგები საკუთარ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, არარეალური იქნება, თუკი ყველაფერში კარგი შედეგი აჩვენებს. ობიექტურობის დამცავი მექანიზმი სპეციალური გრაფაა, რომელსაც რეფლექსია ეწოდება და ის მექანიკურ პასუხებს გამოირიცხავს, რადგანაც გაუზრებლად პედაგოგი ვერაფერს ჩანერგს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გრაფა აჩვენებს, რომ არასწორადაა შევსებული. ფასილიტატორის პასუხისმგებლობაც სწორედ ის არის, რომ მასწავლებელს კითხვარის სწორად შევსება ასწავლოს. მეტიც, მისი ვალდებულებაა პირველ წელს ასწავლოს, შემდეგ – თვალყური ადევნოს. თუმცა, როგორც განმარტავენ, არასწორად შევსების შემთხვევაში პედაგოგებს არავინ დასჯის.

ბუნებრივია, პედაგოგები უკვე გაცნენ თვითშეფასების კითხვარებს. თვითშეფასების დირექტორებისა და მასწავლებლების კომენტარებს, თუ რას ნიშნავს მათთვის 120- პუნქტიანი თვითშეფასების კითხვარი და როგორია მათი განწყობა და ობიექტურობის ხარისხი? ლია თუმუჩი, 173-ე სკოლის დირექტორი:

„ბუნებრივია, პედაგოგები ყველა სიახლეს სიფრთხილით ეკიდებიან, ერთგვარი ეჭვიც კი უჩნდებათ ხოლმე რამე ხომ არ იმალება ამ სიახლის მიღმა, რომ მათი დამომარეობა არ გააუარესონ. სამწუხაროდ, ძალიან ვკვირდები ხელს საზოგადოების პოლიტიკურად ანგაჟირებული ნაწილი. ხშირად სოციალურ ქსელებში არასწორი ინტერპრეტაციით იტვირთება ესა თუ ის სიახლე, რომელიც შეე პიარზეა გათვლილი. მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი სწორედ ამის ზეგავლენის ქვეშ ექცევა და დოკუმენტს წინასწარ შექმნილი განწყობით კითხულობს. ასეთ შემთხვევაში, მათთან სკოლის ხელმძღვანელობას ძალიან ბევრი მუშაობა და ახსნა-განმარტებები გვინდობს, რომ რეალურად შეაფასონ არსებული მუქ-ჩრდილები. რაც შეეხება კონკრეტულ კითხვარს, მასწავლებლები მას გაეცნენ და ორგანიზაციის დამოკიდებულება გაჩნდა: ნაწილი სიფრთხილით ეკიდება, ხოლო იმ ნაწილმა, რომელიც უფრო სიღრმისეულად გაეცნო, თვითშეფასების კითხვარში საკუთარ თავზე მუშაობის ძალიან ბევრი საჭიროება აღმოაჩინა. მეტსაც გეტყვით – პედაგოგების ნაწილი მართლაც ფიქრობს, რომ ეს არის პროფესიულ დაოსტატებაზე ზრუნვა – საკუთარი თავის ერთგვარი დიაგნოზი.“

ბუნებრივია, თვითშეფასებისას ვერ იქნება ობიექტურობის მაღალი ხარისხი, მაგრამ მთავარია, პედაგოგები თვითონ აღმოაჩინონ და დაფიქრდებიან სად არის ხარვეზი, რა მიმართულება უნდა განავითარონ და სად დასვან სწორი აქცენტები“.

მაკა მონწილელი, 173-ე სკოლის სერტიფიცირებული მასწავლებელი (ქართული ენა და ლიტერატურა): „ჩემი აზრით, თვითშეფასების კითხვარი დაგეგმარება შევფასოთ საკუთარი შრომა და კრიტიკულად შევხედოთ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. თავისთავად, ეს დამატებით შრომას და დროს მოითხოვს, თუმცა, საშუალებას მოგვცემს, ჩვენ მიღმა დარჩენილი ხარვეზები და პრობლემები აღმოვაჩინოთ, გულწრფელად ვაღიაროთ და შემდეგ მათ აღმოფხვრაზე ვიზრუნოთ. შესაძლოა, ისეთი პრობლემები ან საკითხები ამოტივტივდეს, რომელზეც ადრე არასოდეს დავფიქრებულვართ და არც კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენებთ. რაც მთავარია, მის გამოსასწორებლად მთელი წელიწადი გვაქვს. თავისთავად, ეს ჩვენს პროფესიულ წინსვლას უწყობს ხელს.“

ნანი კაჭარავა, ბუნების მასწავლებელი: „რასაკვირველია, გავეცანი თვითშეფასების კითხვარს და გულწრფელად გეტყვით, რომ მისი შევსება საუკეთესო საშუალება იქნება საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევების კრიტიკულად შეფასებისთვის. ვფიქრობ, ბევრ რამეს აღმოვაჩენ ისეთს, რაზეც ადრე არ მიფიქრია. ბუნებრივია, თვითშეფასება ვერ იქნება მაქსიმალურად ობიექტური, თუმცა, გარკვეულწილად, გზის მაჩვენებელი ნამდვილად იქნება, მთელი წლის განმავლობაში რომელ მიმართულებაზე გავაკეთოთ მეტი აქცენტი.“

ლიანა ფუტყარაძე, 133-ე სკოლის დირექტორი: „ჩვენთვის ახალი თითქმის არაფერია, რადგანაც დაწყებითი განათლების პროექტში – ჯიპრაიში ვართ ჩართულები და სამოქმედო გეგმა, რომელსაც კარიერული წინსვლის სქემა უსახავს მასწავლებლებს, ხორციელდება დაწყებითი სწავლების საფეხურზე, აქედან გამომდინარე, არც თვითშეფასების კითხვარია მათთვის სიახლე. სკოლაში 70 პროცენტზე სერტიფიცირებული მასწავლებელია. მართალია, თვითშეფასებას არავინ ამოწმებს, მაგრამ გარე და შიდა დაკვირვება, რომელიც მასწავლებლის პროფესიულ უნარებს შეამოწმებს, გარკვეულწილად, აიძულებს მათ თვითშეფასება ობიექტურად მოახდინონ, რადგანაც პროფესიული ხარვეზები აღმოფხვრან. შეიძლება ითქვას, პირიქით, ეს მათ დაეხმარებათ კიდევ. რასაკვირველია, პედაგოგებს გავაცანი თვითშეფასების კითხვარი და მას, 21 სექტემბრის შემდეგ, ყველა პედაგოგი შეავსებს. განწყობაც დადებითია, რადგანაც ისინი თავიანთი კარიერული წინსვლისთვის მუშაობენ, რაც, ფინანსურ გაუმჯობესებასთან პირდაპირ კავშირშია.“

ნანა ზურბანი, 133-ე სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი: „რა თქმა უნდა, ნებისმიერ პედაგოგს ექნება მიმართულება ან საკითხი, რომელიც მეტად უნდა განავითაროს. თვითშეფასების კითხვარი სწორედ ამ მიმართულების აღმოჩენაში დაგვეხმარება, თვითდაკვირვებას ვაწარმოებთ, სად არის ხარვეზი, რომელზეც შემდეგ მთელი წელი ვიმუშავებთ. რაც შეეხება ობიექტურობის ხარისხს, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. აუცილებელია, ვიყოთ ობიექტურები, თუ გვინდა პროფესიული ზრდის საშუალება მოგვეცეს.“

პედაგოგები კითხვარს ყოველთვის სასწავლო წლის დასაწყისში შეავსებენ, წლის ბოლოს კი, ფასილიტატორთან ერთად, შედეგებს გააანალიზებენ – რა გააკეთეს და რა დარჩა გამოსასწორებელი. შემდეგ წელს კი თვითშეფასებას სწორედ ამის შესაბამისად მოახდენენ და საშუალო გეგმასაც შეიმუშავენ. 120-პუნქტიანი თვითშეფასების კითხვარი პედაგოგების კარიერული წინსვლის სქემის ნაწილია, რომელიც მხოლოდ იმაში ეხმარებათ, რომ მორიგ აქტივობაზე გადასვლა შეეძლოს და არსებული ხარვეზები გამოასწორონ.

გაომსილვაა

კლასბარეში აქტივობების როლი ქართული ენის დაუფლებაში

სასკოლო განათლებას ორი ძირითადი მიმართულება აქვს – სასწავლო პროცესი და კლასგარეშე მუშაობა. სასწავლო პროცესში მოსწავლე იძენს აკადემიურ ცოდნას, კლასგარეშე მუშაობისას კი – არაფორმალურ განათლებას.

ცოდნისა და განათლების შექმნის პარალელურად სასკოლო განათლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლის თავისუფალ პიროვნებად ფორმირება, რომელიც საგაკვეთილო პროცესისგან განსხვავდება კი არ დგას, არამედ ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია და ცოდნასთან ერთად იმ უნარ-ჩვევების შექმნის პროდუქტია, რომელსაც მოსწავლე ეუფლება სწავლების მთელი ციკლის განმავლობაში. საქართველოს „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში“ ხაზგასმულია, რომ „საქართველოში ზოგადი განათლების სისტემაში მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის“.

საგაკვეთილო პროცესი, ცოდნის შექმნის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, შეუცვლელია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია კლასგარეშე დაგეგმილი ღონისძიებები, რომლებსაც საგაკვეთილო შედარებით, გარკვეული კუთხით, უპირატესობაც კი აქვთ და რაც მოსწავლეთათვის მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია თავისუფალი გარემო, რადგან კლასგარეშე ღონისძიებებში ჩართვა ნებაყოფლობითია და არა სავალდებულო. ამასთან, მოსწავლეები არ არიან მოქცეულნი ჩარჩოში, აქვთ მოქმედების თავისუფლება, არ არიან მიჯაჭვულნი მერყეზე, არ იწევიან ნიშნად, არ ირეკება ზარი. ეს ყველაფერი მოსწავლეს ათავისუფლებს შინაგანი სტრესისგან, რომელიც მას, ნებისთი უნებლიეთ, თუნდაც პატარა დოზით, მაგრამ მაინც აქვს გაკვეთილზე ყოფნისას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ღონისძიებებზე ურთიერთობა მოსწავლე-მასწავლებელს შორის უფრო უშუალოა, მოსწავლე უფრო გახსნილია და მათ შორის ბუნებრივად ყალიბდება დემოკრატიული პრინციპებზე დაყრდნობით ურთიერთთანამშრომლობა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია კლასგარეშე მუშაობა არაქართულენოვან სკოლებში. კომპაქტურად დასახლებული არაქართულები მოსახლეობა, ფაქტობრივად, მონაწილეობს ქართულ სივრცეში, რაც მათმა ენობრივმა და კულტურულმა კარჩაკეტილობამ განაპირობა. ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე კი ვერ მოხერხდება მათი ინტეგრაცია-აქტიური ჩაბმა

ქვეყნის სოციოკულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათი, როგორც საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბება. ქართულის, როგორც მეორე ენის საგნობრივი პროგრამა სახელმწიფო ენის სწავლების მიზნის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევა ისეთი „თავისუფალი პიროვნების“ აღზრდას, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩაბმას და საკუთარი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების შექმნასა და ჩამოყალიბებაში. კლასგარეშე აქტივობები – შემოქმედებითი საღამოები, ექსკურსიები, გასართობი თუ შემეცნებითი ღონისძიებები – ზემოთ აღნიშნული პრობლემების დაძლევისა და ცოდნის შექმნის საუკეთესო გზაა.

ცნობილია, რომ ენას უკეთ ეუფლებიან, როცა სამიზნე ჯგუფი/პირი შესასწავლი ენის ბუნებრივ გარემოში ექცევა (სწავლების პირდაპირი მეთოდი). როცა მასწავლებელი ქართულენოვანია, ასეთი გარემო ბუნებრივად იქმნება ღონისძიების მომზადების პროცესში, რეპეტიციებზე, რადგან მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ვერბალური კომუნიკაცია ქართულ ენაზე მიმდინარეობს. თუ საგაკვეთილო მასწავლებელმა ცოტა უნდა ილაპარაკოს, რათა მოსწავლის ცოდნა მაქსიმალურად გამოვლინდეს, კლასგარეშე მუშაობის პირობებში ამის საჭიროება არ დგას, პირიქით, მასწავლებელმა რაც შეიძლება ბევრი უნდა ილაპარაკოს და ელაპარაკოს მოსწავლეს, რადგან, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ასეთ დროს მოსწავლე „იძულებული ხდება“ ყოველგვარი სწავლისა და ძალდატანების გარეშე ათვისოს ქართული ენა.

ის ბუნებრივად იჭერს და იმასხორცებს სწორ გრამატიკულ ფორმებს, სიტყვებს, გამოთქმებს, წინადადებაში სიტყვების წყობას და მერე თავად აგებს კონსტრუქციებს, რაც თავადაც აღუნიშნავთ: მასწავლებელი, ჩვენ თქვენ გიყურებთ, გისმენთ, ვიმასხორცებთ, რომ ჩვენც ასე ვილაპარაკოთო.

მასწავლებელს უნდა ახსოვდეს მარია მონტესორის სიტყვები: დამეხმარე (მოსწავლე), რომ ვისწავლო, ანუ გაუძლიეროთ მოსწავლეს სურვილი და სტიმული და გადავიყვანოთ იგი პრაქტიკულ მოქმედებაში. ცნობილია, რომ კლასგარეშე ღონისძიებების როლს ენის ათვისების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა სტიმული. მოსწავლეთათვის (და მათი შობლებისთვისაც) ღონისძიებებში მონაწილეობა ერთგვარი პრესტიჟია, რაც ზრდის მათ ავტორიტეტს და ამყარებს მათ სოციალურ სტატუსს კლასში. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ეს და მოსწავლეთა

კოგნიტური შესაძლებლობის გათვალისწინებით ყველას მოუძებნოს „საქმე“, ღონისძიებებზე ყოველთვის არის ყველას „სამუშაო“ – ვინ დიჯეის როლს მორიგებს კომპიუტერთან, რომ ღონისძიების მუსიკალური გაფორმება უზრუნველყოს, ვინ ნამყვანი იქნება, ვინ იმღერებს, ვინ იცეკვებს და, რაც მთავარია, ყველა მათგანი, შეძლებისდაგვარად, ათვისებს შესაბამის „პროფესიულ ლექსიკას“ (მაგ. დიჯეი – მუსიკის გამორთვა, დანაკაპუნე, მიიყვანე, ჩართე, გამორთე, ჩანერე, ხმას აუნიე-დაუნიე და სხვ.).

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ მოსწავლეთა საჭიროება, არამედ აუდიტორიაც და ისე დაგეგმოს ღონისძიება. აუდიტორია მხოლოდ კი არ ისმენს და უყურებს, შეიმეცნებს კიდევ. მათი მხრიდან ღონისძიების მიმართ ინტერესი საკმაოდ დიდია. სურთ გაიგონ, რას ეხება ღონისძიება, რაზე საუბრობენ. ამიტომ, თუ ღონისძიება შეიმეცნებითი ხასიათისაა, ტექსტიც უნდა იყოს ნაკითხული. აქედან გამომდინარე, აქტივობის დაგეგმვის წინ მასწავლებელმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას კითხვები: რას, რატომ, ვისთვის და როგორ ვაკეთებ. კლასგარეშე ღონისძიების „დირიჟორი“, რა თქმა უნდა, მასწავლებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია, დაგეგმვის პროცესში აქტიურად ჩართოს მოსწავლეები – ერთად შეარჩიონ თემა, აქტივობები, სცენის დეკორაცია, კოსტიუმები, როლები, მასალები. მასალებს შერჩევისას დააკვალიანოს. მოსწავლემ უნდა იგრძნოს, რომ მას უსმენენ, მის აზრს ითვალისწინებენ, პატივს სცემენ. ეს ყველაფერი მოსწავლისათვის ქმნის პოზიტიურ გარემოსა და განწყობილებას, როგორც ღონისძიების, ისე საგნის, მასწავლებლისა და ქართული ენის მიმართ, უყალიბებს ქართული კულტურის პატივისცემას, უღვივებს მოქალაქეობრივ განცდას. კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს ასწავლის სწავლის სწავლას – იქნენ რა გამოცდილებას, მერე თვითონვე გამოიმუშავებენ ხოლმე სწავლის სტრატეგიებს და სხვა სიტუაციებში, სხვა ღონისძიებებში იყენებენ, როგორ ნაკითხონ, როგორ შექმნან, სად მოიძიონ ინფორმაცია, მასალა, დამოუკიდებლად ეძებენ მათთვის საინტერესო სიმღერებს, ცეკვებს, ლექსებს, ინერენ, სწავლობენ, აკვირდებიან გამოთქმებს, რომ სწორად წარმოთქვან სიტყვები, ინტერნეტ საიტებიდან სწავლობენ ცეკვებს, რათა შემდგომ ღონისძიების მასალად გამოიყენონ და ა.შ. ეს ყველაფერი ერთად და ცალ-ცალკე ხსნის მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ნიჭს, ხელს უწყობს მათ რეალიზებას, უმაღლეს თვითშეფასებას.

კლასგარეშე ღონისძიებები იმითაც არის



საინტერესო, რომ მასწავლებელს მრავალი სასწავლო მეთოდის ერთდროულად გამოყენება უნდა, იქნება ეს ზეპირმეტყველების მეთოდი, გონებრივი იერიში (მაგ. თემის შერჩევისას იდეების გენერაცია), დემონსტრირების, ქმედებებზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი და სხვ.

ასე რომ, კლასგარეშე დაგეგმილი აქტივობები მრავალი კუთხითაა საინტერესო და საჭიროც, როგორც მოსწავლეთა გართობა-გახალისების, ისე სოციალური თანამშრომლობის, სწავლის სწავლის, შემეცნებისა თუ ცოდნის შექმნის თვალსაზრისით.

ზამირა (დოდო) კოპიაშვილი
წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ოზნის საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ – შესავალი;
„ეროვნული სასწავლო გეგმა“ – საგნობრივი პროგრამა ქართული, როგორც მეორე ენაში, ზოგადი ნაწილი – ბ) საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები;
„სასწავლო პროფესიული გარემო“ – მასწავლებლეთა პროფესიული განვითარების ცენტრი;
„სწავლებისა და სწავლის მეთოდები“ – www.sba.edu.ge

ბლუმის ტაქსონომია და კითხვის სტრატეგიები რუსული ენის გაკვეთილზე

სწავლის თანამედროვე მიდგომებით სწავლა ნიშნავს არა მარტო ინფორმაციის შექმნასა და დაგროვებას, არამედ უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას. ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღწერილი კომპეტენციები მოიცავს სამი კატეგორიის ცოდნას: **დეკლარატიულ** (სტატიური), **პროცედურულ** (დინამიური) და **პირობისეულ** (ფუნქციური). მასწავლებლის მიზანია მოსწავლე დეკლარატიული ცოდნიდან აიყვანოს პირობისეულ ცოდნამდე, რასაც ხელს უწყობს ბენჯამენ ბლუმის სააზროვნო უნარების განვითარების ტაქსონომია. ბლუმის კოგნიტური მიზნების იერარქიაში ექვსი კლასი გამოიყოფა, რომელიც მიმართულია დაბალი დონიდან მაღლისაკენ, ესენია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება.

ვინაიდან უცხო ენის დაუფლების ძირითადი მიზანია კომუნიკაცია, რომლის პროცესში ხორციელდება შეთვისებული ცოდნისა და უნარების რეალიზება, ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, მოსწავლეთათვის მაღალი აზროვნების დონედ მესამე საფეხურის გამოყენება ჩაითვლება, რაც არ გამოირიცხავს ანალიზ-სინთეზისა და შეფასება-დამოკიდებულების ფორმირების სტრატეგიების სწავლა-სწავლებასაც. ბენჯამენ ბლუმის ტაქსონომიის დონეებზე გასვლა წარმოუდგენელია კითხვის ეფექტური სტრატეგიების გარეშე.

კითხვა მეტყველების რეცეფციული სახეა. მისი ფსიქოლოგიური მექანიზმია ნაკითხულის გაგება. **კითხვის მიზანია ორი უნარ-ჩვევის დაუფლება:**
1. კითხვის ტექნიკის – ხმამაღალი კითხვა; მისი შედეგია გამართულად, გარკვევით კითხვა, ხმამაღალი კითხვა მიზნად არ ისახავს კითხვებზე პასუხის გაცემას – ეს ბლუმის ტაქსონომიის ყველაზე დაბალი დონეა.

ნომის ყველაზე დაბალი დონე ცოდნაა.
2. ჩუმი კითხვა – მისი შედეგია ნაკითხულის შინაარსის გაგება, ეს პროცესი კი ეტაპობრივად მიმდინარეობს:

- ცალკეული სიტყვების, შესიტყვებების, წინადადებების, ტექსტის რაიმე ნაწილის გაგება (ფრაგმენტის დონე);
 - ტექსტის ენობრივი მხარის და შინაარსის გაგება (შინაარსის დონე);
 - ტექსტის დედაზრის გაგება (აზროვნების დონე).
„უცხოური ენის სტანდარტი“ მოსწავლე კითხვის ოთხ სახეობას უნდა იყენებდეს, ესენია: სკანირება, გაცნობითი, ძიებითი, შესწავლითი.
განვიხილოთ ბლუმის სააზროვნო დონეები კითხვის სტრატეგიებთან მიმართებაში.
სახელმძღვანელო: მაია ლორთქიფანიძე, ირინა ჩხეიძე, თამარ ჩიშაკაძე. რუსული ენა სVII ტექსტი «Человек и животные».
- ცოდნა**
ანბანი, ინსტრუქციები, ნაკითხული ინფორმაციის გახსენება, აღდგენა ზუსტი ან მსგავსი ფორმით. მაგალითად:
1. სად ხდება მოქმედება?
2. გადმოცემა ფაქტები, რომლებიც თქვენ დაგამახსოვრდათ.
1. Что такое «вивисекция»?
2. Где возникла первая организация по защите животных? და ა.შ.
- გაგება**
სიტყვის გრაფიკული გამოსახულების დაკავშირება შესატყვის ბგერით ოდენობასთან, კითხვებზე პასუხები, ნაკითხულის ნერვობით ან ზეპირად გადმოცემა, საგნების სხვადასხვა ნიშნით დაჯგუფება (ცხოველები, ფრინველები), სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა ნუსხიდან – რა? ვინ? როგორ? და ა.შ. ჯგუფის სიტყვების გამოცნობა. მაგალითად:
1. მოცემული ტექსტიდან განსაზღვრეთ რომელია რეცეპტი.
2. ეს ტექსტი ადამიანზეა, ბუნებაზე თუ კოსმოსზე?
3. დააკავშირეთ მინი-ტექსტები შესაბამის ილუსტრაციასთან.
1. Что хотел сказать Уильям Хоггарт своей серией картин «Четыре ступени жестокости»?
2. Как вы думаете, почему именно в Великобритании возникло первое Общество в защиту животных, а проблема защиты прав животных «вошла в политику»? და სხვ.

კითხულის ნერვობით ან ზეპირად გადმოცემა, საგნების სხვადასხვა ნიშნით დაჯგუფება (ცხოველები, ფრინველები), სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა ნუსხიდან – რა? ვინ? როგორ? და ა.შ. ჯგუფის სიტყვების გამოცნობა. მაგალითად:
1. მოცემული ტექსტიდან განსაზღვრეთ რომელია რეცეპტი.
2. ეს ტექსტი ადამიანზეა, ბუნებაზე თუ კოსმოსზე?
3. დააკავშირეთ მინი-ტექსტები შესაბამის ილუსტრაციასთან.
1. Что хотел сказать Уильям Хоггарт своей серией картин «Четыре ступени жестокости»?
2. Как вы думаете, почему именно в Великобритании возникло первое Общество в защиту животных, а проблема защиты прав животных «вошла в политику»? და სხვ.

გამოყენება
ნაკითხვის შედეგად მიღებული ცოდნის პრევენტაცია ახალ სიტუაციაში ლაპარაკის ან წერის გზით. მაგალითად:
1. დაამტკიცეთ ან უარყავით ტექსტში მოცემული მტკიცებულებები. თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ნაწყვეტებით ტექსტიდან.
Прочитайте и своими словами расскажите о чувствах животных да а.შ.
ანალიზი
ნაკითხული ტექსტის ნაწილებად დაშლა (სიტყვის – ბგერად-მარცვლებად, წინადადების – სიტყვებად, ტექსტის – აზრობრივ ნაწილებად; პერსონაჟების, საგნების შედარება-

გამოსილა

შეპირისპირება). მაგალითად:

1. ნაიკითხეთ ტექსტის ფრაგმენტები და განსაზღვრეთ, მათგან რომელი ამტკიცებს მოცემულ აზრს და რომელი უარყოფს.
2. ყოველ აბზაცში გამოყავით წინადადება, რომელიც შეიძლება ამოვიღოთ როგორც უმნიშვნელო.
3. იპოვეთ მოცემულ ტექსტებში მსგავსება და განსხვავება.

Разбить текст на логические части, озаглавьте каждую часть и установите связь между ними да სხვ.

სინთეზი

ცალკე მოცემული ნაწილების გაერთიანება ახალი მთლიანი შინაარსის სახით. მაგალითად:

1. მოცემულია ინდივიდის გარეგნობისა და ხასიათის ამსახველი ლექსიკური ერთეულები და უნდა შეიქმნას ადამიანის პორტრეტი.
2. მოცემული ნაწილები გააერთიანეთ და მიიღეთ ერთი მთლიანი ტექსტი.

Найдите материал о животных и составьте маленький рассказ о чувствах животных, используя текст.

შეფასება

საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ნაკითხულთან დაკავშირებით.

მოთხრობის რომელი ნაწილი მოგეწონათ ყველაზე მეტად? გამოთქვით თქვენი მოსაზრება.

1. Как лично вы относитесь к вивисекции? Нужно ли жертвовать животными ради здоровья человека?
2. Как вы думаете, можно ли лишать человека свободы из-за жестокого отношения к животным?

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, კითხვა შეიძლება იყოს მიზანი ან მიზნის მიღწევის საშუალება.

კითხვის სტრატეგიების მიგნებული გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლეთა სააზროვნო უნარების ეფექტური განვითარება. მოვიყვანოთ ერთ-ერთ მაგალითს:

სტრატეგია: აქტიური კითხვა + კორნელის მეთოდი.

რას ითხოვს მასწავლებელი?

მასწავლებლის პირველი მოთხოვნაა, რომ მოსწავლემ გადახედოს წასაკითხ მასალას. საკუთარ თავს დაუსვას შემდე-

გი კითხვა: რა ვიცი მოცემული საკითხის შესახებ? შემდეგ კი ნაიკითხოს ინფორმაცია, რაც ამ საკითხის შესახებ აქვს. ეს შეიძლება გავაკეთოთ ასოციაციური რუკის საშუალებით. დაფაზე ვწერთ – ადამიანი და ცხოველები, მოსწავლეები იხსენებენ: დაცვა, ზოობარკი, მანანნალა ძაღლები, ცხოველთა დაცვის ორგანიზაციები და სხვ. აქვე შეიძლება დავსვათ კითხვები ტექსტის მიხედვით:

1. Когда было создано первое общество по защите животных в США? და ა.შ.

მასწავლებლის მეორე მოთხოვნაა, მოსწავლემ წერილობით ჩამოაყალიბოს შესასრულებელი სამუშაოს მიზანი. გაცეს პასუხი შემდეგ კითხვებს: რატომ ვკითხულობ ამ ტექსტს? რისი სწავლებისა და გაგების იმედი მაქვს ტექსტის ნაკითხვის შემდეგ?

მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ეს ტექსტი მათ მისცემს ცოდნას ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების შესახებ და აუმაღლებს ცხოველების მიმართ პასუხისმგებლობას.

მასწავლებლის მესამე მოთხოვნაა, ტექსტის კითხვისას მოსწავლემ დასვას შემდეგი კითხვები: რა? ვინ? სად? როდის? რატომ? და ამ კითხვების საფუძველზე მოაზრებული ინფორმაცია ჩაინიშნოს.

1. Почему американские медики боролись против вивисекции ещё в XX веке?

2. Проблема защиты животных «вошла в политику». Что это значит?

მასწავლებლის მეოთხე და საბოლოო მოთხოვნაა, რომ მოსწავლემ ხელახლა ნაიკითხოს თავისი შენიშვნები და კორნელის გრაფაში გაკეთებულ პირველად კომენტარს დაუერთოს მეორეული, უკვე ემოციური კომენტარები და შესწორებები და ამით შეაფასოს კორნელის გრაფის მეორე ნაწილი.

მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს პირველი, მეორე, მესამე მოთხოვნის შედეგებს, აკეთებენ დასკვნას და გამოხატავენ თავიანთ ემოციურ დამოკიდებულებას პრობლემის მიმართ. აქ შესაძლებელია დავსვათ შეკითხვები:

1. Согласны ли вы с тем, что у животных есть разум и они способны чувствовать? Приведите примеры и выразите свое мнение.

ამ აქტივობის გამოყენება ხელს უწყობს ბლუმის ტაქსონომიის მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლას.

შესაძლებელია აქვე გამოვიყენოთ სტრატეგია: ვიცი-მინ-

და ვიცოდე-გავიგე. ტექსტის ნაკითხვამდე ვავსებთ პირველ და მეორე გრაფას, ტექსტის ნაკითხვის შემდეგ – მესამეს.

კითხვის სტრატეგიების ბლუმის ტაქსონომიის ჩრდილში განხილვა და საგაკვეთილო პროცესში მისი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეს ყურადღების მოზლიზებაში, აქტიურებს მის წინა ცოდნას, ეხმარება მასალის მთლიანობაში გააზრებაში, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, უჩვენებს, რა არის მთავარი მოცემულ მასალაში, მიუთითებს რა ისწავლა მან ამ მასალის მეშვეობით, უმაღლებს მოტივაციას, უვითარებს კითხვის უნარ-ჩვევებს.

დამეთანხმებით, ბლუმის ტაქსონომია მასწავლებლის გზამკვლევაა, რომელიც შედეგის მიღწევაში ეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ გაკვეთილზე შეიძლება არ მოხდეს მაღალი სააზროვნო უნარების მიღწევა, მაგრამ კითხვის სტრატეგიების სწორი და მიზანმიმართული გამოყენება ხელს შეუწყობს გამოყენების დონეზე გასვლას, რომ არაფერი ვთქვათ იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და კანონზომიერებების დადგენაზე, რასაც რუსული ენა, როგორც საგანი, გვთავაზობს.

კითხვის სტრატეგიების ბლუმის ტაქსონომიასთან დაკავშირება და ამ მიმართებით საგაკვეთილო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა და განხორციელება ხელს უწყობს ესგათვალისწინებული ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა: წიგნიერება, მრავალენობრივი კომპეტენცია, სემიოტიკური კომპეტენცია და სხვათა სწავლა. ეს კი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის უწყობს ხელს.

ტარიელ კალანდარიძე
სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორი,
რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სწავლება და შეფასება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2008 წელი;
2. კითხვის ეფექტური მეთოდები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2012 წელი;
3. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სატრენინგო მასალები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2014 წელი.

პროფესიული განათლება

პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაცია იწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მიმდინარე წლის 14 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით, აცხადებს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაციას, 150-ზე მეტ, მათ შორის, 45 ევროპული სტანდარტების შესაბამისად შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ყველა დაინტერესებულ პირს იძლევა შეხვედრის სახელმწიფოს სრული დაფინანსებით, დაეუფლოს სასურველ პროფესიის ტურიზმის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მომსახურებისა და სხვა მიმართულებებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ 33 საგანმანათლებლო დაწესებულებაში. რეგისტრაციის მსურველმა თან უნდა იქონიოს მხოლოდ პირადობის მოწმობა.

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით არსებულ საინფორმაციო ცენტრებში, სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, აპლიკანტმა, სანყის საფეხურზე სწავლის დასაწყებად, უნდა გაიაროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირება. ტესტირების მიზანია, დადგინდეს სწავლის მსურველთა პროფესიული უნარების შესაბამისობა მათ მიერ შერჩეულ პროფესიასთან.



საფეხურიდან საფეხურზე გადასვლისა და სწავლის გაგრძელების მსურველები კი, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში რეგისტრაციის შემდეგ, გაივლიან თავად დანესტრების მიერ ორგანიზებულ ტესტირებას.

ზემოაღნიშნული პროცედურების გავლით, აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა 2013 წლის შემოდგომიდან ხორციელდება. ჯამში, 4 მილების ფარგლებში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა და 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მიიღო ოცი ათასზე მეტმა აპლიკანტმა. ჩარიცხულთაგან 250-მდე პროფესიული სტუდენტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს წარმოადგენდა.

დამსაქმებლებთან თანამშრომლობით, დაიხვეწა რიგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. პროფესიული სასწავლებლები აღჭურვილია განახლებული ინფრასტრუქტურით, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და თანამშრომლებზე სხვადასხვა კომპანიებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების სტაჟირებასა და წარმატებული კურსდამთავრებულების დასაქმებას.

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაციას 150-ზე მეტ, მათ შორის ევროპული სტანდარტების შესაბამისად შემუშავებულ 45 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ყველა მსურველს აქვს შესაძლებლობა, სახელმწიფოს სრული დაფინანსებით, დაეუფლოს სასურველ პროფესიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ, საგანმანათლებლო დაწესებულებაში. რეგისტრაციის მსურველმა თან უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა.“

აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა რეგისტრაცია მიმდინარეობს ჩვეულებისამებრ. მათ შეუძლიათ დარეგისტრირდნენ აღნიშნული პროცედურების შესაბამისად. თუმცა, ისინი სარგებლობენ ალტერნატიული პროფესიული ტესტირების ფორმით, რაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ პროფესიის მოსინჯვის საფუძველზე ფასდება.“



საქართველოში პროფესიული განათლების მიმართულებით უახლესი საგანმანათლებლო ცენტრი იხსნება, რომლის სტუდენტებს უახლესი, საქართველოს სტანდარტის პროფესიული განათლების პროგრამას შეესაბამება

შემდეგ სპეციალობებში: ელექტრო-თექნიკოსი, თექნიკური დანადგარების / მოწყობილობის თექნიკოსი, მეთაური, პროცესის ოპერატორი და შემდგომი

www.mes.gov.ge

საინფორმაციო ცენტრი 2015

აი, რატომ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს იაკობის „დედა ენით“

„დარჩება სამარადისოდ შენგან გატყუებნილი გზა. ვინც ამ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად არ იხსენიება.“

აკაკი წერეთელი

მედია საშუალებებში და სოციალურ ქსელებში ფართო მსჯელობის საგანი გახდა, ვასწავლოთ თუ არა სკოლებში ბავშვებს ნერა-კითხვა იაკობ გოგებაშვილის დედა ენით. სამწუხაროდ, ზოგჯერ, ისეთი შეფასებები კეთდება ბევრი ვაი-ქართველის მიერ, რომ იმედი მეკარგება. ცხადია, დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში ყველას აქვს უფლება აზრი გამოთქვას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, ილაპარაკოს ის, რაც ენაზე მოადგება – ყოველგვარ მეცნიერულ დასაბუთებას და საუკუნოვან გამოცდილებას მოკლებული მოსაზრებები, მით უმეტეს, როცა საკითხი ისეთი საპასუხისმგებლო საქმეს ეხება, როგორც მომავალი თაობის აღზრდა. აქ სასურველია ჯანსაღი, გულახდილი მსჯელობა და კამათი. თუ მასში კომპეტენტური, შესაბამისი გამოცდილებისა და ცოდნის, ერის ნათელი მომავლის გულმემატიკურები მიიღებენ მონაწილეობას, ასეთი კამათის დროს, დარწმუნებული ვარ, მართლაც დაიბადება ჭეშმარიტება.

იაკობის „დედა ენის“ სრულყოფილებაზე ისიც მიუთითებს, რომ თითქმის საუკუნეა ხევრის შემდეგ თანამედროვე „დედა ენა“ ამ დიდი მოღვაწის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს პრინციპებს ემყარება.

გოგებაშვილის ღრმად ეროვნულ-ფილოსოფიურ-დიდაქტიკურ ნაწილში ნათლად ვლინდება საზღვარგარეთული ლიტერატურის ღრმა ცოდნაც, რასაც ის არგუმენტირებულად იყენებს მხოლოდ ეროვნულზე დაყრდნობით. „იაკობ გოგებაშვილი იყო ფრიად განათლებული და მაღალი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, რომელსაც ნილად ხვდა შექმნა ქართული ეროვნული სკოლა, ქართული კლასიკური საბავშვო მწერლობა, სათავე დაედო ქართული მეცნიერული პედაგოგიისათვის.“

იაკობ გოგებაშვილმა გონების თვალთვალში გაზომა დედაენის შემოქმედების ძალა და მასშტაბი პიროვნების სულიერი ცხოვრების ფორმირებაში და თავისი კონცეფცია სისტემის სახით ჩამოაყალიბა. ეს კონცეფცია დაედო საფუძვლად მის პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიურ მოძღვრებას. საგნის მეცნიერული ცოდნის გარეშე სწავლების მეთოდიკა ვერ გახდებოდა მეცნიერული.

იაკობ გოგებაშვილი არა მხოლოდ ქართული მეცნიერული პედაგოგიისა და საბავშვო მწერლობის შემქმნელი იყო, არამედ თავისი დროის ერთ-ერთი პროგრესულად მოაზროვნე ენათმეცნიერიც, რომელიც ენობრივ მოვლენებს დაკვირვებით იკვლევდა“ (ვ. გაფრინდაშვილი, „დედა ენა და მისი სწავლების საკითხები იაკობ გოგებაშვილის მოძღვრებაში“).

1900 წელს ცნობილმა გერმანელმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ არტურ ლაისტმა, საქართველოში მოგზაურობის შემდეგ, გამოსცა წიგნი „ქართველი მწერლები“, სადაც წერდა: „ქართველი მოზარდი თაობა

სწავლობს თავის ეროვნულ ენას უმთავრესად ორი სახელმძღვანელოს შემშენებით: „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“. ეს ორი მთავარი ქართული სახელმძღვანელო დგას იმავე სიმაღლეზე, რომელზედაც დგანან საუკეთესო ევროპული სახელმძღვანელოები.“ აღსანიშნავია, რომ იაკობიც ლაისტში ქართული კულტურისა და მეცნიერების ზედმიწევნით მცოდნეს ხედავდა.

იაკობ გოგებაშვილი წინააღმდეგი იყო მოდერნიზმის, ქართული სინამდვილისთვის შეუფერებელი, წესებისა – „უცვლელად შემოღებული სწავლა-აღზრდის უცხოური წესები არ შეესაბამება ქართველების ცხოვრებას. ქვეყანას სწავლა-აღზრდის თავისი სისტემა უნდა ჰქონდეს.“

ყველაზე მთავარი, მნიშვნელოვანი და ღირებული, რატომაც უნდა ვასწავლოთ ნერა-კითხვა გოგებაშვილის „დედა ენით“, ეს არის სახელმძღვანელოს ავტორის პრინციპი ანალიზურ-სინთეზური მეთოდით. სწორედ ამ მეთოდითაა იგი უნიკალური სახელმძღვანელო.

„დედა ენა“ გვაოცებს თავისი იდეური მთლიანობით, ჰარმონიულობით, პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიურ არქიტექტონიკით. წიგნის ასეთი ჰარმონიული აგებულება აძნელებს მისი ნაწილობრივი გამოყენების შესაძლებლობას. დიდი პედაგოგის მიერ შემუშავებული კლასიკური პრინციპები მარადიულია. დედაენა სკოლაში რიგითი სასწავლო საგანი კი არაა, არამედ სხვადასხვა საგნის სწავლების საშუალება.“ (ვ. გაფრინდაშვილი, „დედა ენა და მისი სწავლების საკითხები იაკობ გოგებაშვილის მოძღვრებაში“).

სწორედ იაკობის „დედა ენასთან“ დამოკიდებულება იმის მიზეზი, რომ, სამწუხაროდ, მნიშვნელობა დაკარგა სკოლებში კალიგრაფიამ და საერთოდ წერის კულტურამ.

„იაკობ გოგებაშვილის წერის დედანი და კალიგრაფიის სწავლების თემატიკა გარკვეულ მეცნიერულ თვალსაზრისზეა აგებული. ი. გოგებაშვილი ფიზიკურად იდგა ქართული დამწერლობის სადარჯჯოზე და ყოველ არამართულად გადარჩას სათანადო შეფასებას აძლევდა. იგი ღრმად იცნობდა ქართული მხედრული ხელის ბუნებას, ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული მისი განვითარების ისტორია და პერსპექტივები. დიდი პედაგოგი დედანი აკანონებდა მხოლოდ მართებულსა და ტიპობრივს, ამიტომაც გაუძლო მისმა დედანმა და წერის სწავლების სისტემამ დროის დიდ გამოცდას.“

იაკობ გოგებაშვილი აფრთხილებდა იმ პირებს, რომლებიც არ ითვალისწინებდნენ ქართული კალიგრაფიის თავისებურებას და არ ერიდებოდნენ მის ხელყოფას: „ნუ დავიწყებთ, რომ წერა ერთ-ერთი დედაბოძია განათლებისა და ამ დედაბოძის გამრუდება უვნებლად ვერ ჩაივლის ერის განათლებისათვის“... ქართული ხელის „ხასიათის შეცვლა და დამახინჯება ჭეშმარიტის საუფნის გათახსირება და გაფუჭება იქნება“. ხელი პიროვნების ინდივიდუალური ბუნების, ხასიათის გამოჟღავნებელ-ამსახველია, ეროვნული ფსიქიკის თავისებურების ღრმად აღმბეჭდველი და შემნახველია, ხალხის სულიერი კულტურის ძვირფასი მონაპოვარი და განძია. ლამაზ ხელს დიდი ესთეტიკური ღირებულება აქვს“ (ვ. გაფრინდაშვილი, „დედა ენა და მისი სწავლების საკითხები იაკობ გოგებაშვილის მოძღვრებაში“).

არავისთვის ახალი არ არის, რომ თანდათან იკარგება მოსწავლეთა მეტყველების სწავლების საწყისი ნერტილობა უნდა ვეძიოთ. „ი. გოგებაშვილის აზრით, მოსწავლეთა მეტყველების კულტურის, წიგნიერების დონის ამაღლების საკითხი დედაენის საკითხთა სწავლების სისტემაში სკოლის ყოველდღიური ზრუნვის საგანია; მოსწავლეთა მეტყველების განვითარების მთავარი წყარო არის ლიტერატურა, ხალხური შემოქმედება. საყურადღებოა, რომ მის სახელმძღვანელოებში, განსაკუთრებით „დედა ენაში“, უხვადაა წარმოდგენილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, სადაც დიდი პედაგოგი ხედავს ხალხის სიბრძნეს, მის მაღალ იდეალებს, მისწრაფებებს, სალიტერატურო ენის, მეტყველების მოქნილ ფორმებს“ (ვ. გაფრინდაშვილი, „დედა ენა და მისი სწავლების საკითხები იაკობ გოგებაშვილის მოძღვრებაში“).

ჩემი თვითმიზანი ნამდვილად არ არის, ვაკრიტიკო რომელიმე ავტორი ან მასწავლებელი, რომელიც არ ასწავლის იაკობის „დედა ენით“, მაგრამ ვფიქრობ, მტკიცებასაც კი არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ბავშვი ასობგერით დაწყებულ სწავლას უაზროდ და უინტერესოდ მიიჩნევს და ამის მოწმეები ჩვენ, მასწავლებლები ვართ.

როცა ბავშვი საგანს ხედავს, ნაცნობი სიტყვით იწყებს, სწავლა გონივრული, საინტერესო და მარტივად მისაწვდომი ხდება. ამიტომ იქნა ეს მეთოდი მოწონებული. „იგი გავრცელებულია მთელს განათლებულ ევროპაში“ (ბიბლიოგრაფი გ. ბეთანიშვილი, გ.ა. „დროება“, 1867წ.);

საანბანე ნაწილის ავტორის პრინციპი, ნიგნის თემატური მხარე გახდა საფუძველი იმისა, რომ 1960 წელს, ვენესუელის ქ. კარაკასში გამართულ მსოფლიო ენების საანბანო სახელმძღვანელოების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე, იაკობის „დედა ენის“ მიხედვით შედგენილმა სახელმძღვანელომ პირველი პრემია და საპატიო მედალი დაიმსახურა.


მაღლობა უფალს, რომ იაკობ გოგებაშვილს, მის ღვანლს, მის „დედა ენას“ და მის „აი ია“-ს დღესაც ჰყავს სათანადოდ შემფასებული ნამდვილად კომპეტენტური, განათლებული და მომავალი თაობების სწორად აღზრდა-განათლებისთვის მოღვაწე ადამიანები.

ძვირფასო მასწავლებლებო, მინდა ყურადღებითა და სიყვარულით წაიკითხოთ ქვემოთ მოყვანილი ციტატა ყველასათვის ცნობილ ბატონ გია მურულუას ნაშრომიდან და დარწმუნებული ვარ, ყველა თქვენგანი იაკობის „აი ია“-თი დაიწყებთ ნერა-კითხვის სწავლებას:

„არაფერი ისე არ აერთიანებს ერსა და სახელმწიფოს, როგორც ენა. იაკობ გოგებაშვილის დედა ენა და მისი საწყისი „აი ია“-მშობლივი დედისა და პირველი მასწავლებლის ხმებთან ერთად საშუალოდ დამკვიდრდა ყოველი ქართველის ცნობიერებაში. ეს წიგნი იყო და არის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერთცნობიერ ერთობად განმტკიცების მნიშვნელოვანი ელემენტი. ამ თვალსაზრისით, იაკობ დიდი ქართველების – გრიგოლ ხანძთელის, გიორგი ათონელისა და სულხან-საბა ორბელიანის მალაღსაღიერი საქმიანობისა და ღვანლის ღირსეული გამგრძელებელია. აი ია-ს წარმოქმნას სულ ერთი ნაბი უნდა. ეს არის ნაბი, რომელიც ყოველი ქართველის ცხოვრებაში დგება და არასოდეს მთავრდება – საქართველოში შეიძლება ყველაფერზე დაუხრებლად იკამათონ და ეჭვქვეშ დააყენონ, მაგრამ დედა ენის პირველ სიტყვებს ეს არასდროს ეხება.“

რატომ არის აი ია გენიალური მიგნება? რატომ ვერ წარმოუდგენიათ ქართველებს ამ ორი მარტივი სიტყვის ერთობის გარეშე საკუთარ შეილთა აღზრდა? ამის, სულ ცოტა, 10 მიზეზი არსებობს:

- 1. ღვთაებრივი სიმეტრიის ჰარმონია.** სიმეტრია ბავშვს თავიდანვე აჩვენებს და შეაგრძობინებს, რომ სამყარო წესრიგია და ის ამ ჰარმონიაში უნდა ჩაერთოს;
- 2. სარკის პრინციპი.** აი, ხედავს იას – თითქოს სარკეში იყურება. ეს არის საკუთარ თავში სამყაროს დანახვის უძველესი პრინციპი და კულტურა. საუკუნეების წინ იცოდნენ, რომ საკუთარი თავის შემცნობი სამყაროს წესრიგსაც შეიმეცნებს. ამიტომ ეწერა დეფლოსის ტაძრის შესასვლელში: „შეიცან თავი შენი“;
- 3. წიგნი იწყება აზრით.** აი ია – წინადადებაა. იაკობი ბავშვის განათლებას იწყებს არა ასოთი ან სიტყვით, არამედ, პრინციპულად – წინადადებით ანუ აზრით. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წინადადება მოქმედებს, დინამიკას მოიცავს. აქ არის არა მხოლოდ ალქმა, არამედ დამოკიდებულებაც (და არაერთი!);
- 4. საწყისად გამოკვეთილია საგნის შეცნობა.** პირველივე წინადადება ბავშვს აფიქრებს სამყაროს კონკრეტულ გამოხატულებასზე;
- 5. ფიქრის დასაბამს იძლევა სახელის დარქმევა** – ეს არის რაღაც, რომელსაც ჰქვია ია. სახელის დარქმევა ფაქტისა თუ მოვლენის ნიაღის დაუფლებას, მის არსებობაში შეღწევის ნიშნავს;



6. ეს არის შემეცნების დაკავშირება მშვენიერებასთან. აქ რეალიზებულია სამყაროს გონებითა (რაციონ) და ემოციით ალქმის სინთეზის პრინციპი. ეს არის „შემეცნების ესთეტიკის“ დამკვიდრება – ჯერ კიდევ რუსთაველმა ახსენა „გონიერი გული“, რაც ნებისმიერი პედაგოგიური სისტემის საოცნებო იდეალია;

7. აქ კოდირებულია აღმოჩენის სიხარულიც – აი, ეს არის ის, რასაც ია ჰქვია! ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ბავშვს, მოსწავლეს თავიდანვე ეუბნები, რომ წიგნთან ურთიერთობა არა მხოლოდ შრომა, არამედ სიხარულიც არის;

8. წიგნი დასაწყისიდანვე გვაზიარებს ქართული მეტყველების მუსიკას. წინადადებაში ოთხი ხმოვნის მსუბუქი, ჰაეროვანი ჰარმონია შესანიშნავ ბგერით ხატს ქმნის;

9. აქ ვხედავთ ქართული დამწერლობის გრაფიკული გამოსახულების სრულქმნილებასაც – როგორც „ა“, ისე „ი“ სრულყოფილ სიმრგვალებს – წრეს უკავშირდება და განასახიერებს;

10. სამყაროს შექმნის, არსებობისა და დასასრულის გენიალური ხატი. ბიბლიაში წერია, რომ ღმერთი არის ანი და ჰოე – სამყაროს დასაწყისი და დასასრული – სამყარო „განიფინება“ და ღვთისკენ „ბრუნდება“. აი ია-ში, ამ პატარა ინსაიდებში, სიმბოლურად სამყაროს ისტორიაა მოცემული (ეს წინადადება პალინდრომია – „ნაღმა“ და „უკუღმა“ ერთნაირად იკითხება და სახეობრივად განფენა-უკუქცევას წარმოაჩენს).

ყოველივე ზემოთქმულისა (თუ ვერთქმულის) გამო, იაკობ გოგებაშვილი და მისი დედა ენა (სხვა წიგნებიც) საქართველოში განასახიერებენ თავად იდეას განათლებისა. სიტყვა „განათლება“ ქართულად მხოლოდ ინფორმაციის მიღებას არ ნიშნავს, ადამიანში ღვთაებრივი ნათლის შემოსვლას უკავშირდება. სახელი ია კობი (სიმბოლურია, რომ ამ სახელსაც ია იწყებს) მიმყოფს, მიმდევარს ნიშნავს. ბიბლიის კვალობაზე ნიშნავდა ტყუპთაგან მეორეს, მომდევნოს, შემდეგ კი ღვთის მიმყოფის მნიშვნელობა შეიძინა.

აი ია ღვთისკენ და საქართველოსკენ სავალი ერთი გამორჩეული გზაა ქართველებისთვის. ეს არის ყველაზე პატარა, მაგრამ იქნებ ქართული ცნობიერების ისტორიაში წარმოჩენილი სხვაზე ძალმოხილი შედეგრიც“ (გია მურულუა, „ნათლის მეგზური“ – იაკობ გოგებაშვილის ღვანლი).

ვფიქრობ, ამ ყველაფრის უარყოფა სამშობლოს ღალატია! ისტორიის დაგინებება! წარსულის უპატივცემულობაა! მისი დაცვა – უდიდესი ეროვნული საქმე და ქვეყნის წარმატების საწინდარია! ამის გარანტი კი მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებელია!

მასწავლებელს, თუ ის ზნეობრივად, გონებრივად, ემოციურად, სულიერად და ფიზიკურად სრულფასოვანია, ეროვნულ კულტურასთან, ისტორიასთან, დედა ენასთან მჭიდრო კავშირშია, ზოგადსაკაცობრიო კულტურულსა და ზნეობრივ ფასეულობებზე დაყრდნობით, თავისუფლად შეუძლია აირჩიოს სახელმძღვანელოც და მეთოდებიც.

ნუნუ ანდლუაძე
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
წიფნარის საჯარო სკოლის
პედაგოგი





ინფორმაცია

ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანიმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებით ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

მემორანდუმის თანახმად, თანამშრომლობა განხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში II“ ფარგლებში და ითვალისწინებს შემდეგს:

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა“ ერთობლივად დაგეგმავენ და განახორციელებენ, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, მოსახლეობისა და მოქმედი საზოგადოებრივი ცენტრების პერსონალისათვის ქართული ენის სწავლებას.

პროექტი ასევე ითვალისწინებს ადგილობრივ თემებში (განსაკუთრებით – სასოფლო დასახლებებში) სამოქალაქო ინტეგრაციის, სათემო განვითარების, მოქალაქეთა საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ენის სრულყოფილად დაუფლების, საზოგადოებრივი ცენტრების მოსამსახურეთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის ადმინისტრაციულ პროცედურებში უკეთ განსწავლულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ეს ერთ-ერთი პრიორიტეტული თემაა. შესაბამისად, თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საზოგადოებრივი ცენტრების პერსონალისათვის მომზადდება ადმინისტრაციული პროცესის სრულყოფასა და მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სპეციალური სასწავლო პროგრამები, რომლის სწავლებასაც ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა უზრუნველყოფს.

თამარ სანიკიძე: „დღეს ძალიან საჭირო დოკუმენტს მოვაწერეთ ხელი. პირველ რიგში, ადგილობრივ მოსახლეობას მივსწავლით ამ მულტიფუნქციური დანერგვების შესახებ. მემორანდუმის ფარგლებში, გვეგმავთ გამოვითხოვთ ეს ინფრასტრუქტურა, შენობის შიგნით არსებული სივრცე იმისათვის, რომ ჟვანიას სკოლაში გააქტიურდეს თავისი პროგრამები ამ კონკრეტულ რეგიონებში. ჩვენთვის პრიორიტეტია, რომ მსგავსი ცენტრები რაც შეიძლება ახლოს იყოს სოფლებთან და იმ დასახლებებთან, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ. სახელმწიფო ენის სწავლება ნამდვილად არის ქვეყნის პრიორიტეტი. რეალურად უნდა გავუწიოთ დახმარება და ხელი შევეწყობოთ ადგილობრივ მოსახლეობას, რომ ქართული ენა შეისწავლოს ყველამ, ვისაც ეს სჭირდება და ვისაც ამის სურვილი აქვს. უნდა დავაინტერესოთ ეს ადამიანები და დავანახოთ სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობა, რაც მათ შემდგომში დასაქმებაში გამოადგება.“

თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი: „დღეს კაზრეთის საზოგადოებრივი ცენტრში ვაფორმებთ მემორანდუმს იმ მიზნით, რომ იუსტიციის სამინისტრომ უკეთ შეძლოს თანამშრომლობა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან და განათლების სამინისტრომ უკეთ შეძლოს იმ ძლიერი ინფრასტრუქტურის გამოყენება მთელ საქართველოში, რომელიც იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს აქვს. შარშან და წელს ჩვენ ავაშენეთ და გავხსენით არაერთი საზოგადოებრივი ცენტრი არაერთ ქართულ სოფელში, მაგალითად: გეგუთში, კაჭრეთში, ნუკრიანში, შილადაში, დუისში, კორბოულში და ბევრი სხვ. დღეის მდგომარეობით, 25 დიდი სოფელი სარგებლობს ძლიერი ინფრასტრუქტურით, სადაც 300-ზე მეტი სახელმწიფო სერვისი გაიცემა.“

წლის ბოლომდე ცენტრები გაიხსნება კიდევ 7 სოფელში. მიხდა, რომ ეს ინფრასტრუქტურა ყველა სამინისტრომ გამოიყენოს იმისთვის, რომ სახელმწიფო უფრო ახლოს იყოს ხალხთან. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ, რომ სახელმწიფო ენის შესწავლა წარმატების საწინდარია, პრიორიტეტულია, რომ იპოვონ სამსახური, დასაქმდნენ საჯარო სამსახურში და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მართვაში.“

სმენის დარღვევის მქონე პირთა ხელშეწყობისთვის ახალი პროექტი იწყება

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად, სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების

ხარისხის გაუმჯობესება განსაზღვრა. განათლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სმენის განათლების პროცესში მშობელთა ჩართულობა.

ზემოაღნიშნული გავალისწინებით, 2015 წლის 7 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოს ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროდან დელეგაცია სტუმრობდა. დელეგაციის წევრები სამუშაო შეხვედრებს მართავდნენ სმენის დარღვევის მქონე პირთა მშობლებთან, რათა მოხდეს მათი მეტად ინფორმირება სმენის დარღვევასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შესახებ.

პროცესში 60-ზე მეტი მშობელია ჩართული. შეხვედრები იმართებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სპეციალიზებული პროფილის და საჯარო სკოლების (სადაც ფუნქციონირებს სმენის დარღვევის მქონე პირთა ინტეგრირებული კლასი) ადმინისტრაციასთან.

შეხვედრების შედეგად ამაღლდება მშობელთა ცნობიერება სმენის დარღვევის მქონე პირთა განათლების საკითხებზე და სისტემურ დონეზე საფუძველი ჩაეყრება მშობელთა გაძლიერების პროგრამას, რომელიც დაეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას და უახლესი კვლევების შედეგებს.

მშობელთა გაძლიერების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მშობლებისათვის შესტური ენის სწავლება და თანმიმდევრული მეთოდოლოგია, რომელიც აცნობს მათ ბავშვის განვითარების თავისებურებებს, სმენის დარღვევასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ ბარიერებს, შესაძლებლობებს, რომელიც აქვთ მათ შვილებს სწორი განათლებისა და რეაბილიტაციის პირობებში. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება თითოეული ინდივიდის საჭიროებით გამოწვეული ინდივიდუალური მიდგომების დანერგვის მნიშვნელობაზე.

აღნიშნული პროგრამის პილოტირებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით, 2015 წლის ოქტომბრიდან დაიწყებს.

თამარ სანიკიძე: „ეს უმნიშვნელოვანესი პროგრამა დაინერგება და განხორციელდება მასწავლებელთა სახლის ბაზაზე. საქმე ეხება ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების მშობლების განათლებას, მათ ინფორმირებას მსოფლიოში არსებული სწავლების მეთოდოლოგიის საუკეთესო პრაქტიკების შესახებ. მშობლებს ნათლად ეცოდინებათ, თუ რას ვაპირებთ მათ შვილებთან დამოკიდებულებაში, როგორ უნდა ვასწავლოთ.“

მშობლებთან, ასევე, ვისაუბრებთ (ეს ხაზგასმით მიხდა აღვნიშნო) ბილინგვურ მეთოდზე, რომელიც მოიცავს როგორც შესტურ ენას, ასევე ენობრივ კომპეტენციებსაც, რაც, ვფიქრობ, ყველაზე უფრო თანამედროვე და გამართლებული მეთოდია, რომელიც გვინდა დავანერგოთ. ამაში ნორვეგიის განათლებისა და კვლევების სამინისტრო გვეხმარება.

მნიშვნელოვანია, როგორ დაიწყებთ და ასევე მნიშვნელოვანი იქნება, რამდენად მალაღი იქნება მშობლების ჩართულობა. პროგრამა მომზადებულია და სექტემბრიდან, სასწავლო პროცესის დაწყებასთან ერთად, ამოქმედდება. მიხდა მოვულოდო ყველა მშობელს და დაინტერესებულ პირს, აქტიურად ჩართონ პროგრამაში და მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია. ეს ყველაფერი მათი შვილებისთვის კეთდება, იმისათვის, რომ მათ ხარისხიანი განათლება მიიღონ.“

ინარ კრისტინსენი, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს წარმომადგენელი: „ჩვენი აქ ყოფნის მიზანია სმენის დარღვევის მქონე ბავშვების მშობლებთან საუბარი, მათი დარწმუნება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შესტური ენის განვითარებას მათი შვილებისთვის, რომ მათ სრულფასოვანი კომუნიკაცია შეძლონ თანატოლებთან, ასევე მასწავლებლებთან და თავად მშობლებთან. სწორედ ეს არის ჩვენი ძირითადი მიზანი, ამ ადამიანებს გავუზიაროთ საერთაშორისო გამოცდილება, რაც აღნიშნული მიმართულებით არსებობს ნორვეგიაში.“

ქეთევან ბარბაქაძე, მშობელი: „მე მყავს ორი ქალიშვილი, რომლებიც სმენადაქვეითებულები არიან. ჩვენ, ფაქტობრივად, სკოლაში რომ მივდივით, მაშინ დაიწყეთ შესტურ ენაზე მეტყველება. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვიცოდე ჩემი შვილების ენა და მესმოდეს მათი. ამიტომ, ყველანიარად ვცდილობ ამის მიღწევას, შესწავლის პროცესში ვარ. მართლაც უმნიშვნელოვანესია შესტური ენის შესწავლა ყველა მშობლისთვის, ვისაც სმენადაქვეითებული ან ყრუ შვილი ჰყავს, რომ მეტი მისცეს შვილს, დაეხმაროს განათლებაში, განვითარებასა და მომავლის დაგეგმვაში.“

აკადემიური შესტური ენა – პირდაპირი კავშირი საჭიროებაზე

პირველად საქართველოში, ყრუ პირთა პროფესიული განათლება შესტური ენის თარჯიმნის დახმარებით, შესტურ ენაზე მიმდინარეობს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აკადემიური შესტური ენის განვითარებისათვის განხორციელებული სამუშაოები სპეციალისტებმა შეაჯამეს, აქვე გაიმართა ვებგვერდის SignWiki-ის პრეზენტაცია. ვებგვერდი განკუთვნილია ყრუ პირთათვის, მათი მშობლებისთვის, შესტური ენის პედაგოგებისა და თარ-

ჯიმნებისთვის. შეხვედრა, რომელსაც პედაგოგები, შესტური ენის თარჯიმნები, ყრუ ადამიანები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ მინისტრმა თამარ სანიკიძემ გახსნა.

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადაზიდვების სისტემაში“. აღნიშნული ინიციატივის მიზანია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და სასწავლო პროცესის მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად წარმართვა.

თამარ სანიკიძე: „ორი წლის სერიოზული მუშაობის შემდეგ, დონორი ორგანიზაციების ჩართულობით, მოახერხეთ ის, რომ დღეისთვის გარკვეულია და იდენტიფიცირებულია ქართული შესტების რაოდენობა, რაც აკადემიური შესტური ენის განვითარებას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია, რომ შესტების ენის ფორმირებაში ჩართული იყო 75 ყრუ ადამიანი, რომლებიც ამ პროექტის ფარგლებში დავასაქმეთ. დღეისთვის უკვე არსებობს ელექტრონული პორტალი, სადაც 2700-ზე მეტი ქართული შესტია ატვირთული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბევრი პროფესიული პროგრამა შეიძლება შესტური ენის გამოყენებით განხორციელდეს. რა თქმა უნდა, პროფესიული საგანმანათლებლო დანერგვები აუკვე ალტერნატივა რესურსით, რომ მოხდეს ასეთი ადამიანების სრულფასოვანი მომზადება. დღეს პროფესიულ განათლებაში უკვე 53 ასეთი სტუდენტი გვყავს.“

სამინისტროში აცხადებენ, რომ მათთვის პრიორიტეტულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა. თითოეული სტუდენტისათვის სასწავლო პროცესის ხელშეწყობა მისი საჭიროების შესაბამისად მიმდინარეობს. პროფესიულ საგანმანათლებლო დანერგვებებში აქტიურად არიან ჩართულნი ყრუ პირები, რომელთათვისაც პროფესიული განათლება, შესტური ენის თარჯიმნის ჩართულობით, შესტურ ენაზე მიმდინარეობს. ყრუ სტუდენტებისათვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებითაა ორგანიზებული პროფესიული ტესტირების პროცესი. შედეგად კი, 2013 წლიდან დღემდე, 53 ყრუ პირმა მიიღო პროფესიული განათლება.

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით, საფუძველი ჩაეყარა პროფესიული განათლების მიმართულებით აკადემიური შესტური ენის განვითარებას, ვინაიდან ძალიან მწირია შესტები, რომელიც საშუალებას იძლევა პროფესიული განათლების მიწოდების პროცესში მასალა სრულყოფილად იქნეს თარგმნილი. 2013 წლიდან დღემდე განხორციელდა:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებასთან დაკავშირებული ქართული შესტების იდენტიფიცირება, რეგისტრირება და პოტენციურ მომხმარებელთა შორის გავრცელება, 15 სხვადასხვა პროფესიასთან მიმართებაში;

- აღსანიშნავია, რომ ქართული შესტების ბანკის შემუშავების პროცესში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 75 ყრუ პირი დაასაქმა; საქართველოს ყრუთა კავშირთან აქტიური თანამშრომლობით;

- შესტების შეგროვების, რეგისტრირების, ბაზაში ასახვისა და გავრცელებისათვის, ნორვეგიული მხარის მხარდაჭერით, შეიქმნა ქართული შესტების რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა SignWiki-ის ანალოგი და ქართულ მხარეს გადმოეცა აღნიშნული ვებგვერდზე წვდომის უფლება.

6 თვის განმავლობაში ვებგვერდზე მოხდა შესტური ენით მოსარგებლე ყრუ პირების მიერ შეგროვებული და ვიდეოფორზე აღბეჭდილი 2748 შესტის განთავსება განსაზღვრული თხუთმეტი პროფესიული პროგრამისთვის. სამუშაო ჯგუფების მიმდინარეობის პარალელურად, პოტენციურ მომხმარებელთა შორის SignWiki-ის გავრცელების მიზნით, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან მიმდინარეობდა საინფორმაციო შეხვედრები.

მაია მეტონიძე, ყრუთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი: „საქართველოში მცხოვრები ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა – ეს არის პირდაპირი კავშირი მათ საჭიროებებზე. რაც მთავარია, საზოგადოება მზადაა ამისთვის, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამ პროცესში დიდი როლი აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რადგან არასამთავრობო ორგანიზაცია სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე, ბუნებრივია, ამ მასშტაბის პროექტს ვერ განახორციელებდა. შესტური ენის განვითარება, ზოგადად, ეს არის ყრუ ადამიანების განვითარება, განათლებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა და სრულფასოვანი გარემოს შექმნა.“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გეგმავს შექმნილი ვებგვერდის დატვირთვას სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსებით ყრუ პირებისათვის. დაიწყება ასევე სასკოლო საგნებისათვის საჭირო შესტების შეგროვება და ატვირთვა, რათა სწავლების ადრეული ფაზიდანვე ყრუ მოსწავლეებისათვის ინფორმაცია სათანადოდ ხელმისაწვდომი იყოს.

ინფორმაცია

გოეთეს ინსტიტუტის პროექტი – გავრცელების მდგრადი მომავლისთვის

გოეთეს ინსტიტუტი ახალი სასწავლო წლის დაწყებას მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტით ეხმარება – გრძელდება პროექტი Vernetzt für Nachhaltigkeit (გავრცელების მდგრადი მომავლისთვის), რომელიც ფინანსდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე Vernetzt für Nachhaltigkeit (გავრცელების მდგრადი მომავლისთვის), რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, გარემოსდაცვითი და მწვანე პედაგოგიკის საერთაშორისო ექსპერტები გერმანიიდან, ავსტრიიდან და შვეიცარიიდან, ექსპერტები მდგრადი განვითარების სფეროდან გრაცის უნივერსიტეტიდან და ვენის აგრარული და გარემოსდაცვითი პედაგოგიკის უნივერსიტეტიდან.

კონფერენციაში აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სკოლების მასწავლებლები მონაწილეობდნენ. მათ შორის გაიმართა დისკუსია მდგრადი განათლების შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე, მწვანე და გარემოსდაცვითი პედაგოგიკაზე, განხილეს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ინტერესთა კონფლიქტები. ამიერკავკასიაში ისევე, როგორც ევროპაში ეს საკითხები აქტუალურია და საგანმანათლებლო დაწესებულებაში სულ უფრო ხშირად იკვეთება საკუთარი ინიციატივით მომავლის შეცვლის მოტივაცია და სურვილი.

როგორც ამ საერთაშორისო კონფერენციის, ასევე მთლიანად პროექტის მიზანია სკოლებში საგანმანათლებლო პროცესი გახდეს მდგრადი განვითარების სფეროში ცნობიერების ამაღლების ერთგვარი ბიძგი. შესაბამისად, პროექტის სტრატეგია მოიცავს ვორკშოპების სერიას აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში. ეს სემინარები, რომელშიც მნიშვნელოვანი და არსებითი მასწავლებელთა ჩართულობა, ემსახურება სკოლის მასწავლებლების პროექტების დაგეგმვას მდგრადი განვითარების თემაზე და ამ მიმართულებით აქტუალურ საკითხებზე, – ბუნება, როგორც გარემო, წყალი, საარსებო ნიადაგი, კლიმატი, საკვები და ბიომრავალფეროვნება. მასწავლებლებს პროექტების მომზადებაში დაეხმარებიან ვენის აგრარული და გარემოსდაცვითი პედაგოგიკის უნივერსიტეტის სტუდენტებიც, რომლებიც სპეციალურად ჩამოვლენ.

პროექტი Vernetzt für Nachhaltigkeit (გავრცელების მდგრადი მომავლისთვის) მასშტაბურია, თავისი სტრუქტურითა და შინაარსით მოიცავს კონფერენციას, სემინარებს, სასკოლო პროექტებს, საზოგადოებრივ ბანაკს და სოლიდური სახელმძღვანელო წიგნის გამოცემას. შესაბამისად, პროექტის პირველი ეტაპი იყო საზოგადოებრივი ბანაკი გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების თემაზე, რომელიც კვარიათში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონების სკოლებიდან გერმანიის ენის მასწავლებლებისთვის, 12-18 ივლისს მოეწყო. რამდენიმე დღიანი სემინარები ჩატარეს ვილი ლინდერმა (ავსტრია), ფატი რამიშვილმა (საქართველო) და აიკე პოკრანდტმა (გერმანია). ამ სემინარების მიზანი იყო სკოლებში გერმანიის ენის გაკვეთილის დროს გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების თემების ინტეგრირება.

საერთაშორისო პროექტის Vernetzt für Nachhaltigkeit (გავრცელების მდგრადი მომავლისთვის) დასკვნითი-შემაჯავებელი კონფერენცია დეკემბერში გაიმართება გოეთეს ინსტიტუტში, სადაც შეფასდება ინდივიდუალური პროექტები, ასევე განხილული იქნება პროექტის გრძელვადიანი შესაძ-

ლებლობის პერსპექტივა და მასთან დაკავშირებული იდეები.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: „კონფერენციის დასახელება გახლავთ „გავრცელების მდგრადი მომავლისთვის“. ეს ძალიან დიდი გამოწვევაა, რომელიც გარემოს დაცვითი და ეკოლოგიური ცნობიერების განვითარებას გულისხმობს. ამ პროგრამის მთავარი წარმართველი ძალა იქნება სკოლის მასწავლებლები, კონკრეტულად კი გერმანიის მასწავლებლები. ისინი, პირველად საქართველოში, გამოიყენებენ ინტერდისციპლინურ და ინტეგრირებულ მიდგომას ენის სწავლებისას, როდესაც გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლება ხდება გერმანიის გაკვეთილებზე, მსგავსი რამ აქამდე არასოდეს ყოფილა. მიდგომები, რომლებიც აქამდე ხორციელდებოდა, იყო ნერტილოვანი – გარკვეული კლუბების, გამჭოლი კომპეტენციებისა და იმ თემების სახით, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში იყო. მომავალში მთელი მასშტაბური პროგრამა, მათ შორის საზოგადოებრივი ბანაკები, საგაკვეთილო პროცესები, დამატებითი აქტივობები და პროგრამები, ორიენტირებული იქნება გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე გერმანიის ენის სწავლების პროცესში.“

ვილჰელმ ლინდერი, ვენის აგრარული და გარემოს დაცვითი პედაგოგიკის უნივერსიტეტის პროფესორი: „ამ პროექტით სკოლების მხარდაჭერა იგეგმება, რათა ავამაღლოთ ცნობიერება გარემოს დაცვის საკითხებში. პროექტის სახელი „გავრცელების მდგრადი მომავლისთვის“ ნიშნავს განათლებისა და გარემოს დაცვის გაერთიანებას, ანუ განათლების პროცესში ინტეგრირებული უნდა იყოს გარემოს დაცვის საკითხები.“

საქართველო ინიციატივით, რომ ამ ქვეყნის ბუნება არის განდი და გვინდა, რომ მოქალაქეებმა უკეთ იცოდნენ, როგორ მოუფრთხილდნენ ამ არაჩვეულებრივ ბუნებას. ეს მიდგომა სკოლიდანვე, ადრეული ასაკიდან უნდა დავხვედროთ.“

მინისტრმა სისტემის ღირსეული წარმომადგენლები დააჯილდოვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ საქართველოში გეომორფოლოგიის დარგის განვითარების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსს, რექტორთა მრჩეველთა საბჭოს წევრს, შოთა ცხოვრებაშვილს ღირსების ორდენი გადასცა.

ამავე დღეს 2015 წლის 13 ივნისს, თბილისში, მდინარე ვერის ხეობაში მომხდარი წყალდიდობის დროს გამოჩენილი განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და გაბედული მოქმედებისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ფინანსური და მატერიალური მართვის სამსახურის მთავარ სპეციალისტს, დავით ჭიჭინაძეს, მინისტრმა გადასცა მედალი სამოქალაქო თავდადებისთვის.

თამარ სანიკიძე: „დღეს გვიჩინა ბედნიერება, გადაგვეცა ჯილდო ორი, ჩვენთვის ძალიან ძვირფასი, ადამიანისთვის. ერთ-ერთი იყო ბატონი შოთა ცხოვრებაშვილი, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ემერიტუსი, ძალიან ბევრი საინტერესო ნაშრომის ავტორი, ბევრი კვლევის განმახორციელებელი. განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი მის წვლილსა და ღვაწლს პედაგოგიკაში, იგი 70 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ისეთ მნიშვნელოვან საქმეს, როგორცაა ახალგაზრდების აღზრდა. ასევე მინდა სიახლით გაცნობოთ, რომ ბატონმა დავით სიჭინავამ, რომელიც ჩვენი თანამშრომელია, არნახული თავდა-

დება გამოიჩინა თბილისში მომხდარი სტიქიის დროს, როდესაც თავისი სიცოცხლის რისკის ფასად გადაარჩინა სხვისი სიცოცხლე. მისი საქციელი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა ვალი გვაკისრია ერთმანეთის წინაშე, სამშობლოს წინაშე და როგორ უნდა მივიღოთ რთულ, ექსტრემალურ ვითარებაში სწორი გადაწყვეტილება.“

ლალო პაპავა, თსუ-ს რექტორი: „დღევანდელი დღე იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ყველაზე უხუცეს პროფესორს, ემერიტუს პროფესორს, გადაეცა ჯილდო, რომელიც მისი განსაკუთრებული დამსახურების აღმნიშვნელია.“

ჩვენი უნივერსიტეტი 97 წლისაა, ჩვენი პროფესორი 95 წლის, ლამის ჩვენი უნივერსიტეტის ტოლია ასაკით. მიუხედავად ამისა, დღესაც აქტიურადაა ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ვუსურვებ მას დიდხანს სიცოცხლესა და შემოქმედებით საქმიანობას.“

შოთა ცხოვრებაშვილი: „ეს ჯილდო პირველია ჩემს ცხოვრებაში. უნივერსიტეტში არ დავბადებულვარ, თორე მთელი ჩემი ცხოვრება იქ გავატარე. დღეს რომ მკითხონ, შენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი დღე რომელიაო, ვიტყვი, რომ ეს დღე, როდესაც შევხვდი ჩვენს მინისტრს, ჩვენი რექტორიც იქ ბრძანდებოდა და გადმომეცა ჯილდო. არ ვიცი, დავიმსახურე კი ეს ჯილდო?! დიდი მადლობა.“

ღირსეული წარმომადგენელი განვითარებისთვის

საჯარო სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების მიზნით, თემატური ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით ტარდება. ერთ-ერთი მიმართულება – ფინანსების განკარგვა და კონტროლი. პროგრამის „საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ-ფინანსური მართვის კორექცია“ ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, ათეულობით სკოლის დირექტორი უკვე გადამზადდა.

ტრენინგების პროგრამა შემუშავებულია ერთობლივად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და მიმართულია პრაქტიკულ საქმიანობაში ფინანსური მართვის ხარვეზების გამოსწორებისა და ხარისხის გაუმჯობესებისაკენ.

პროგრამის მიზანია, საჯარო სკოლების მოქმედმა დირექტორებმა გამოიშუშაონ სკოლის ადმინისტრაციულ-ფინანსური მართვის სპეციფიკური, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და უკეთ გაეცნონ საჯარო სკოლების მართვაში შეცდომების თავიდან აცილების (პრევენციის) გზებს. პროგრამა მაქსიმალურად ორიენტირებულია იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოშუშებაზე, რასაც საჯარო სკოლის დირექტორები პრაქტიკულად გამოიყენებენ მუშაობაში და ამით შეძლებენ სკოლის ადმინისტრირების სისტემის ხარისხის გაზრდას.

ტრენინგები უკვე ჩატარდა შიდა ქართლის (გორი, კასპი, ქარენი, ხაშური) საჯარო სკოლების ყველა დირექტორს, ტრენინგები ასევე ჩატარდა ქვემო ქართლში, კერძოდ, ბოლნისსა და დანისში, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის (ლენტეხი, ამბროლაური, ცაგერი, ონი) რეგიონში. პროგრამას, საქართველოს ყველა საჯარო სკოლის დირექტორი ეტაპობრივად გაივლის. ზოგადად საჯარო სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ტრენინგები შემდეგ თემებსა და საკითხებს მოიცავს:

- ადამიანური რესურსების მართვა და შრომითი ურთიერთობები;
- სასწავლო პროცესის ადმინისტრირება;
- ადმინისტრაციული საქმისწარმოება, კონტროლი და ანგარიშვალდებულება;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- მატერიალური რესურსების განკარგვა და კონტროლი;
- ფინანსების განკარგვა და კონტროლი.

მასწავლებლის სამუშაო რეპეტი

მასწავლებლის სამუშაო რეპეტი პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რეპეტილის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გააცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გააცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

მასწავლებლის გიგანტური რეპეტი

საინფორმაციო გზამკვლევი აბაზულია კითხვა-პასუხის კონცეფციისა. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სხვადასხვა გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაქტორების სტუდენტებს.

3 ლარი

დაპირიებალის პორტფოლიო

დაპირიებალის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დაპირიებალს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მუშაობის განსაზღვრული საკითხები. გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დაპირიებალს პორტფოლიოს წარმოებაში და დაპირიებალის საკითხების განხილვაში.

6 ლარი

კათედრის გაგების პორტფოლიო

კათედრის გაგების პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გაგების აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სფეროს ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საკითხების განხილვაში.

6 ლარი

ინტერაქტიული მეთოდების კრებული

კრებული ალწარმოდა ინტერაქტიული სწავლების მეთოდები, მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებული თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია დაეხმარება მისთვის მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, პედაგოგიურ რჩევებს თუ საჭირო ინფორმაციას. კალენდარი ყოველკვირულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, პედაგოგიურ რჩევებს თუ საჭირო ინფორმაციას. კალენდარი ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეკომენდაციები და თეორიული ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5.50 ლარი



მიმდინარეობს ხელმოწერა

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანა - ეფი ბრისტი
მიგელ დელიგაძე - ორი რომანი
აპოლონ კ. ტანვიანი - დროის ინსტიტუტი
ქანე ჟირონი - ჰუსარი სახურავზე
ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი
რაფაელ საბათინი - დამოუკიდებელი
ისტორიის მიღმა
ერნესტ ჰემინგუეი - სატანის ელემენტები
ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
ჯონ გოლდსუორთი - რჩეული მოთხრობები
ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტიის
ჰენრი რაბინოვიჩი - მონტანაშას ასული
ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
ჯონათან სვიფტი - გულმოდგინე მოგზაურობა
შოქოქოვი დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
შტეფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა
მარკო პოლო - საყვარელი ჩრდილოეთი მიწებიდან
პროსპერ მერიმე - იტალიური ვენერა
გიორგი კ. ჩხატარაძე - დონ კისოტის დაბრუნება
სტენდალი - ვითარება და შავი
ჯონ ბუნიანი - გზა ელიტიზმისაკენ
ალბერტ მორავია - მოწყვნილობა
ალექსანდრე დიუმა - კავკასია
ჯეიმს ჯ. კუპერი - ჯაშუში
მაინ რიდი - კვარტალი
ვილჰელმ ჰაუსერი - ლიტერატურის
თეოდორ დრაიზერი - დიპლომატი
ალბერტ კოენი - დედაჩემი
გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი
ეივლ ზოლან - ქალთა პედანტიზმი

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



თითო ტომის ფასი 14 ლარი



ნიმფი I
კველი ქართული მწერლობა;
ნიმფი II
„ვეფხისტყაოსანი“;
ნიმფი III
XIX საუკუნის მწერლობა
ნიმფი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ ბელიტაშვილი,
ამირან გომარტაძე

თითოეული კრებული ფასი - 12 ლარი



სამარჯობო რვეული
ქართულ მართლმადიდებლობაში

10 ლარი



პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერილი დავალებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევების აღიარება, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მონაცემების სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.


მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სინახე



წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდები როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

თითოეულის ფასი - 7,30 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტარული
ტექსტი და
ანალიტიკური
გზამკვლევი

12 ლარი




შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი
ბაჩანა ბრეგვაძის
კროზაული ვერსია
სერიიდან
ინტელექტი სკოლას

ფასი - 15 ლარი

თითო ტომის ფასი 12 ლარი

საყვარელი ენციკლოპედია

- ავტომობილი
ამინდი
სამშრანი
უდაბნო
გამომონებაები
განძის ქივაბი
გლადიატორები
დრო და კალენდარი
კველი ეგვიპტა
ეპროვა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმიკა
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უკველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებაები
კველი რომი
კველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას,
მიუთითეთ პირადი ნომერი

დაწყებითი
კლასებისთვის

- ფორმატი A2 (42x59.4 სმ)
1. წელიწადის დროები:
ფორმული-გამოთვლი
2. წელიწადის დროები:
გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პრეფიქსები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიბინის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. წყლის პინაქლები
2.50 ლარი

მაღალი
კლასებისთვის

- ფორმატი A1 (59.4x84.1 სმ)
1. რელიგიის წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საბერძნეთში
3. გარეული ცხოველები საბერძნეთში
4. მწერები
5. ძველბრძნული საბერძნეთი
6. საბერძნეთის მცენარეები
7. საფარის წარმოშობა
8. ნიდაბი - სიტყვის წარმოშობა
9. რაბინები და დინოზავრები
10. ზღვის დინოზავრები
11. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართული ენის ფონოლოგია და სპონტანური ტექსტი
13. მსოფლიოს მრავალფეროვნება
4 ლარი

მწერალთა
კორტრეტები (34x47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. პაპი ნეკრესელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიქარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. გიორგი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მთავრული
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი
4 ლარი

რეპროდუქციები

- 1. ჰერკულის ტყვეობა - შაქლი დავითი
2. მფხვთა თამაშის დრო - დიმიტრი ბილაშვილი
3. ადელ ზღვა-გაბრიელის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მინიკა - დიმიტრი ბილაშვილი
5. დელფინი სიბილა - მიხეილ ანდრონიკოვი
6. მხატვრის ბავშვი - კლდე მონე
7. უკველი მშობლის დაბრუნება - რეპროდუქცია
8. საბანო - ოგიუსტ რენუარი
9. საპირფარეო გასაღები გრან შატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა
6.5 ლარი

მითითებული
პირთი ცალის ფასი

თამაშური კლასიკები

ევროფორუმს ღირსეულად ვუმასპინძლით

„ქართული ღინამიტის“ აფეთქება

ირაკლი თაყაიძე

წლებადღეული ზაფხულის ერთკვირიანი პერიოდში, 26 ივლისიდან 2 აგვისტომდე, ქართული სპორტისთვის ახალი ისტორიის საფუძვლად იქცა – თბილისმა ღირსეულად უმასპინძლა ევროპის XIII ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს. ამგვარ მასშტაბურ ღონისძიებას საქართველომ პირველად უმასპინძლა (არა მხოლოდ სპორტში) და მასპინძლობის მძიმე ტვირთს, 4 ათასზე მეტი სტუმრის მიღება-გამასპინძლების რთულ საქმეს თუ სხვა საორგანიზაციო საკითხებს, ღირსეულად გაართვა თავი. იყო ცალკეული შეფერვები, როცა, მაგალითად, ტაბლო ვაითიმა, შუქი ჩაქრა და სხვა, მაგრამ ისეთი პრობლემები არ ყოფილა, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ფესტივალს. ორგანიზაციულად გამართულად, აწყობილი მექანიზმივით იმუშავა და არანაირი შეფერხება არ ყოფილა სპორტსმენთა ტრანსპორტირებაში, მათ საშუალებოთუ საავარჯიშო პირობებში, უცხოელი სტუმრები თბილისის ზღვაზე გაშენებულ ოლიმპიურ სოფელში ჩინებულ კორპუსებში ცხოვრობდნენ, კვებაც კარგი ჰქონდათ და ყოველ საღამოს ღია ცის ქვეშ კონცერტებითაც ერთობოდნენ. ფესტივალის დღეებში ბევრ უცხოელთან მომხიბდა გასაუბრება მათგან იოტისადმი უკმაყოფილებაც არ გამოუთქვამია სოციალური ან სპორტული გარემოთი (არ ვგულისხმობთ უშუალოდ სპორტულ შედეგს, რომელიც იქნებ ყველას არ მოსწონდა, მაგრამ ეს ჩვენი ბრაზი არაა), პირიქით – ყველა კმაყოფილი იყო მასპინძლობით, ადგილობრივთა გულისხმიერებით და სტუმრებისადმი გამოხატული სითბოთი. ერთი ეგ იყო, რომ მაინცდამაინც იმ კვირას დამთხვა უჩვეულო სიტყვები, თუმცა ქალაქით მოხიბვლილი ევროპელები არც ამას ეპუბოდნენ, ბევრმა კი ტურისტულ სააგენტოებს ექსკურსიებიც დაუკვეთა (ჯერ კიდევ ფესტივალის დაწყებამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ 200-მდე ამგვარი შეთავაზება შეიქმნა სააგენტოებში), ბევრი სამომავლოდ ჩამოსვლის სურვილს გამოთქვამდა, მათ შორის – თავად ბავშვებიც, სპორტსმენები და არა მხოლოდ უფროსები.

მასპინძლებმა გახსნა-დახურვის ცერემონიალიც საკმაოდ საინტერესო შემოგვთავაზეს. მართალია, ეს არ იყო იმ მასშტაბებისა, როგორცაც ფესტივალის წინა თვეს – ივნისში აზერბაიჯანელებმა მსოფლიო გააოცეს პირველი ევროპული თამაშების გახსნით, რომელშიც ყველაფერი ჩაატარეს: ნიზამი, ცეცხლის კულტი, თეთრი ხარი, ევროპის მოტაცება, მითოლოგია, ისტორია, ანწყობა, წარსული და თვით ლედი გაგაც კი, მაგრამ ჩვენი ფესტივალის საინტერესო და ლამაზი ზემოთ გახსნა. რაც მთავარია, არ იყო დამძლევი და მოსაწყენი, ჩვენი კულტურა და ისტორიაც სათანადოდ იყო ჩატყული. ბუნებრივია, გემოვნება ძალიან პირობითი მცნებაა და იქნებ ვინმეს მაინც, რომ რაღაც ეპიზოდში, რაღაც კონცეფციას სხვანაირად, უკეთ შეიძლება, წარგვედგინა, მაგრამ ეს პიროვნული ნამდვილად არ ჩაეძინებოდა. უბრალოდ, ორგანიზატორებს ერთი კურიოზი მაინც გაეპარათ, თანაც ყველაზე მთავარ ეპიზოდში, ოლიმპიური ცეცხლის ანთებისას. მათი ჩანაფიქრით, თურმე საბერძნეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილ და საგანგებოდ დამზადებულ ჩირაღდანში ანთებული ოლიმპიური ცეცხლი, „ლოკომოტივის“ სტადიონის ნაცვლებად, კუს ტბაზე უნდა ანთებულიყო, მაგრამ ის ადგილი სტადიონიდან არ ჩანდა და ვერც მათ ჩანაფიქრს მიხვდა ვინმე. იდეა ცუდი ნამდვილად არ იყო, მაგრამ მაყურებლებამდე ვერ მიიტანეს სწორად, რის გამოც ყველას ეგონა, რომ ცეცხლი, უბრალოდ, არ აინთო. არადა, თურმე მართლა აინთო და მეორე დღეს ამის დასამტკიცებლად ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა პრეზიდენტმა პატრიკ შიკი, ყურნალისტების თანხლებით, საგანგებოდ აიყვანეს კუს ტბაზე. დახურვის ცერემონიალი კიდევ უფრო სა-

და, მაგრამ ღინამიური და გართობაზე აგებული, ფეიერვერკებით გაჯერებული იყო.

ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის ამაღლების, მისი ცნობადობის გაზრდის გარდა ამ ფესტივალმა ქართულ სპორტს ინფრასტრუქტურის კუთხითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია – საგანგებოდ ამ თამაშებისთვის 6 ახალი დარბაზი აშენდა და 3 საფუძვლიანად გარემონტდა. აშენდა ჩოგბურთის კორტები „მზიურში“, საცურაო აუზი, მძლეოსნობის სტადიონი, ტანვარჯიშისა და ფრენბურთის დარბაზები, სპორტის ახალი სასახლე, რომელიც ძირითადად ხელბურთის ბაზა იქნება. ყველა ბაზა – ახალიც და გარემონტებულიც, თავისი მასშტაბებით, სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, თითქმის ყველა მთავანში რამდენიმე საშუალებო და სათადარიგო დარბაზია, ანუ თავისუფლად შეიძლება მათი გამოყენება როგორც შეჯიბრებისთვის, ისე საავარჯიშოდ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, აქამდე სპორტის ბევრ სახეობებს ამგვარი ფუფუნება არ ჰქონდა, ზოგიერთს (ფრენბურთს, ხელბურთს) საერთოდ არ გააჩნდა საკუთარი ბაზა, ზოგიც (ტანვარჯიში) შეუფერხებელ არენებზე ვარჯიშობდა ისეთ სივნიროვში, სადაც ძლივს ეტეოდნენ (არ ჰყოფნიდათ ფართი ინვენტარის გასაშლელად, ჭერის სიმაღლე სპეციალური ვარჯიშებისთვის და სხვ.), ჩოგბურთი და მძლეოსნობაც სამადლოდ სხვებთან იყვნენ შეხიზნულები, ამიერიდან კი საკმაოდ კეთილმოწყობილი, საკუთარი ბაზები ექნებათ. სპორტის ამ სახეობებს საშუალება მიეცა, ერთობლივი სანერვლი უცხოელები ჩაატარონ და თვითონ კი არ იარონ უცხოეთში ერთობლივ შეკრებებზე, აქეთ მოინვიონ ისინი. ეს განსაკუთრებით საშური ძიუდოშია, სადაც აქამდეც ჩამოსვლის მსურველთა რიგი ედგათ, თუმცა ვერ იღებდნენ იმის გამო, რომ არ ჰქონდათ დარბაზი, სადაც 4-5 ტატიამი გაიშლებოდა და რამდენიმე გუნდი ერთად ივარჯიშებოდა. უცხოელები არც უფერებდნენ, როცა უარის მიზეზად დარბაზის არქონას ასახელებდნენ. ეგონათ, რომ ქართველები შეგნებულად არ ახედებდნენ შიდა სამზარეულოში. თუმცა, ამ ბაზებს ერთადერთი კურიოზული ხარვეზი აქვს, რაც აქ მაღალი რანგის უცხოური შეჯიბრებების ჩატარებას ხელს შეუშლის – მედია, უბრალოდ, გამორჩენილია და უმეტეს მათგანში, ტრინიუნგზე, პრეს-ლოჯა ფიზიკურად არაა გათვალისწინებული. ამაზე უცხოელი ჟურნალისტებისგან სამართლიანი საყვედურებიც მივიღეთ, რაც ერთადერთი უსიამოვნო პრეცედენტი იყო.

ამ ღონისძიებით დიდი სარგებელი მიიღო თბილისმაც, რომელსაც ახალი უბნები შეემატა – სპორტული ბაზების უმეტესობა დილოში, „ახალი თბილისის“ ტერიტორიაზე გაშენდა, სადაც განზრახულია რეკონსტრუქციული ზონის მოწყობა. ოლიმპიური სოფელი თბილისის ზღვაზე ჩინურმა კომპანია „ჰუალინგ ჯგუფმა“ ააშენა, ის კორპუსები კი, ამიერიდან, ჩვეულებრივი საცხოვრებელი ფართები იქნება. ეს ძალიან ლამაზი, მყუდრო და ელემენტარული უბანია, ხოლო სტუმრების აღვრთვანებულ შეფასებებით თუ ვიმსჯელებთ, სრულად გამართლდა ორგანიზატორთა დანაბრები, ამგვარი ფესტივალის ისტორიაში საუკეთესო სოფელი იქნებაო. აღსანიშნავია, რომ კორპუსების დიდი ნაწილი დევნილებს გადაეცათ.

საქართველოსთვის ახალგაზრდული ფესტივალი სპორტული კუთხითაც წარმატებული გამოდგა – 10 მედლით X ადგილზე გავიდა. ჩვენი მონაგარი 4 ოქრო და 6 ბრინჯაოა. ამ ფესტივალზე ათეული მხოლოდ ერთხელ შევედით – 2001 წელს მურსიაში, სადაც ასევე 4 ოქრო გვქონდა, თუმცა მაშინ მედლების რაოდენობა ნაკლები იყო, მხოლოდ 6, ამჯერად კი რაოდენობრივად უკეთეს შედეგს მივაღწიეთ. ცუდი მხოლოდ ისაა, რომ ამჯერადაც ძიუდოსტებით გავედით ფონს, თუმცა აქაც გოგონებმა ისეთი სიურპრიზი შემოგვთავაზეს, ნამდვილი ფურორი მოახდინეს. ძიუდოსტებმა, ჯამში, 9 მედლი მოიპოვეს,



ერთი ბრინჯაო კი, ბოლო დღეს, ტანვარჯიშში დემეტრე გოგორიძემ ირგუნა. ცუდია ისიც, რომ დიდი მოლოდინის მიუხედავად, სხვა სახეობებში კვარცხლბეკზე ვერ ავედით, თუმცა მძლეოსნობაში მეოთხე-მეხუთე ადგილები კი გვაქვს. გუნდურ სახეობებში დიდ წარმატებას არც ველოდით და ჩვენებმა აქა-იქ თუ მოიგეს ცალკეული პაექრობები, თუმცა ამ ფესტივალმა ძალიან დიდი საქმე გააკეთა სახეობების აღორძინების მიზნით – ღონისძიებისთვის მზადების ფარგლებში ხომ, ფაქტობრივად, თავიდან შეიქმნა რამდენიმე გუნდი. მაგალითად, კალათბურთში, ბიჭების გუნდთან ერთად, გოგონებისაც არსებობდა, მაგრამ ხელბურთში ძირითადად მხოლოდ ბიჭები იყვნენ, გოგონებისას საგანგებოდ ამ ფესტივალისთვის მიექცა ყურადღება. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ფრენბურთზეც, სადაც უკვე არსებობს საბაზისო ნაკრები ორივე სქესის სპორტსმენებში, მათი განვითარება კი ფედერაციის საქმეა. რაც მთავარია, აქეთ საკუთარი ბაზა...

ძიუდოს შედეგები და აქ განვითარებული მოვლენები, „გემრიელი ლუკმის“ პრინციპით, ბოლოსთვის მოვიტოვეთ. მათ 4 ოქრო და 5 ბრინჯაო ირგუნეს. აქედან 2 ოქრო და 1 მესამე პრიზიორი გოგონების ნაკრების მონაგარია. მათგან სულ ოთხი მონაწილე გამოდიოდა – მზია ბებოშვილი (52) და ეთერ ლიპარტელიანი (57) ჩემპიონები გახდნენ, ნატალია ყიფშიძე (48) კი მესამე გავიდა. ბიჭებში ოქროს მედლები რობინზონ ზეგლარაშვილმა (60) და ონისე სანელიძემ (90) მოიპოვეს, მესამე პრიზიორები კი ზურაბ კახნიანი (50), თემურ ნოზაძე (55), ბაგრატ ნინიაშვილი (66) და გელა ზაალიშვილი (+90) გახდნენ.

ჩვენი ბიჭებისგან წარმატებას ველოდით და ეს არც გაგვიკვირებია, პირიქით – რამდენიმე გულიც დაგვწყდა, რადგან მეტიც შეეძლო, მაგრამ, აი, გოგონებმა კი ისე დაიქუხეს, იქაურობა შეაზანზარეს – მაღალხარისხიანი, ტექნიკურად ლამაზი და განსხვავებული სტილის ჭიდაობით მათ ქომაგთა გულელები მონადირეს და გადაფარეს ბიჭების გამოსვლა. ტექნიკურ არსენალთან და კარგ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად მათ შესაშური მეტროლო, ფინიანი ხასიათიც გამოავლინეს და ქომაგთა გულელებიც, უპირველესად, ამით მოიგეს. მწვრთნელები – გია თენაძე და კახა მოცრაძე მათ აღმაფრენას შინაური კედლების, მშობლიური მაყურებლის ფაქტორს უკავშირებენ – დარბაზის ემოცია, აღმატებული განწყობა მათაც გადაეღოთ და ამიტომ იჭიდავეს ისე კარგად. ამ მოსაზრებაში სიმართლის დიდი მარცვალია, თუმცა გოგონებმა ფესტივალამდე ერთი თვით ადრეც გააოცეს ძიუდოს სამყარო, როცა სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ოქრო-ვერცხლი მოიპოვეს. ჩემპიონი მაშინაც ბებოშვილი გახდა, მესამეზე კი მარიამ ჭანტურია (57) გავიდა, ვისაც თბილისში გამოსვლის უფლება მცირე ასაკის გამო არ მისცეს, როგორც მძიმეწონისან სოფიო სომ-

ხიშვილს. სოფიაში ორივე შეჯიბრების პირველ დღეს ავიდა კვარცხლბეკზე და ევროპა გააოგნეს კარგი ჭიდაობით. საინტერესოა, ხვალ რა სიურპრიზს გვიზადებენ ეს ამოუცნობი ქართველები, წერდა პირველი დღის შემდეგ ევროპული პრესა, ხოლო საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი, ევროპის 4-გზის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ლუსი დეკოსი პირდაპირ ქოთქოთებდა, ღმერთო ჩემო, ქართველი ბიჭები ვიცოდით, მაგრამ მათმა გოგონებმაც თუ ასე გააგვიკვირეს, ჩვენ სადღა მოვიპოვოთ მედლები... მათ ჭიდაობას ძიუდოს ევროპულმა საიტმა „ქართული ღინამიტი“ უწოდა. ჰოდა, ეს ღინამიტი თბილისშიც აფეთქდა, მთელი სილამაზით აიჭრა და ლამაზი ფიერვერკად გადაიშალა – ტრიბუნები ფეხზე იდგნენ და გამაყრებელი ღრიალით ანგრევდნენ ძიუდოს აკადემიის დარბაზს, როცა ეს გოგონები მგლებივით გავარდებოდნენ ტატამზე და სისხლმონყურებულნი ბოჭავდნენ მეტოქეებს ან ნაირ-ნაირი ილეთებით ანარცხებდნენ ტატამზე. წლებია, ძიუდოს ვუყურებ, ევროპის ჩემპიონატის მინახავს თბილისში, ქართველი ძიუდოსტების დიდი გამარჯვებებიც, მაგრამ თამაზად შეიძლება თქმა, რომ ძიუდოს ასეთი ზემოთ ვაჟთა ეროვნულ ნაკრებს არ მიუნიჭებია ქომაგებისთვის. სილამაზის გარდა, გოგონებმა ჭიდაობის ყადრის მცოდნე ქომაგთა გულელები სწორი, ტაქტიკურად გამართული ჭიდაობით და მეტროლოლი ხასიათით დაიპყრეს – ხალხმა მათგან მაყურებლისთვის თავგანწირვა დაინახა, რაც სათანადოდ დაუფასა, ამ ჰარმონიამ კი ძიუდოს ზემოთ მოიტანა შედეგად. თან ისე დაემთხვა, რომ სწორედ მათი განქმნილების დღეებში ბიჭები საერთოდ უმედლოდ დარჩნენ, თუმცა ვეჭვობ, წარმატების შემთხვევაშიც, გადაფარათ გოგონების ჩინებული გამოსვლა. მათ ჭიდაობის ხარისხით ამ კარად აჯობეს ბიჭებს და დიდხანს იმ რეალობის დაჯერებაც კი მიჭირდა, რომ დადგად რო, როცა ბიჭებზე მეტად მათ ექომაგობდნენ.

თუმცა ისე არ გავგიგოთ, რომ ეს დიდი რამები მხოლოდ ჩემპიონებს ეკუთვნოდეთ, დანარჩენებმაც დაიმსახურეს. ამ ოთხეულიდან პირველი მედლი ყიფშიძემ მოიპოვა და ჯერ კიდევ მან მოინადირა ქომაგთა გულელები, ხოლო იმათი ჩემპიონობა გემრიელი დღესეტი იყო. ქების სიტყვები თვით უმედლოდ დარჩენილმა ნათია მიქაბერიძემაც (63) დაიმსახურა. ის მეორე წრეში შებოჭვით დამარცხდა პოლანდიელ სანე ვერმეერთან, ვინც თბილისში მესამეზე გავიდა, ერთ კვირაში კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, თუმცა მასაც ვაზარით უგებდა და შებოჭვაზე მოჰყვია, მაშინ აზერბაიჯანელ მეტოქეს ოთხი ილეთი ჩაუტარა და, რაც ყველაზე საინტერესოა, ყველა – სხვადასხვა. ასე მრავალფეროვნად ბიჭები არ ჭიდაობენ. ამ ფესტივალმა გავიჩინა დიდი იმედი, რომ 2020 წლის ოლიმპიადამდე არა მარტო ვაჟებში, არამედ ქალებშიც ერთბაშად რამდენიმე მონაწილე გვეყოლება.



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაგაშვილის ძ. №3
 ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
 www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
 რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ზ/კ BAGAGE22.
 რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

ISSN 2233-386X
 9 772233 386008 >